საერთო გაზეთი

№37 (495) • 10 ოქტომბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ირაკლი კობახიძე:
ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება!

„ვინც ხელს აფარებს ფაშიზმს, თავადაც არის ფაშიზმის მონაწილე“

მარიამ ჯაში
ვინც ჩვენს ხმას შეისმენს

ნიკო ნიკოლაძე და ჩვენებური უმადურობა

ბუმერანგი

რუსი „პიარშჩიკები“ და უნიათო ფაშისტი ნიკა გვარამია, მეტსახელად „გაუპატიურებული ოფოფი“, გრიგოლ ვაშაძეს საპრეზიდენტოდ კი არა საომრად ამზადებენ?

მთავარი „ქინძი“, „ქინძეები“ და „ნაცმოძრაობა“ – ბოროტების ბოსტანი

ცავატანემ, ზაზაჯან, შენ სინდისი ვაბშემ ჩუნეს?

პოლიტიკა, თუთუნი და ნატოს კალმის წვერი

გაჭ(ყლე)ტილ გამზარდიასა და ფულის ხურუშიან ელისტრახოს
გაბაასება სოფლის კლუბ „იბერიაში“

ირაკლი კობახიძე

ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება!

„ვინც ხელს აფარებს ფაშიზმს, თავადაც არის ფაშიზმის მონაწილე“

„ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება,“ — ასე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ტელეკომპანია რუსთავი ორის დირექტორის ნიკა გვარამიას პოსტს, რომელიც მან სალომე ზურაბიშვილის დამფინანსებლების შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ირაკლი კობახიძის განცხადების ტექსტიდან:

„ნიკა გვარამია ზურაბიშვილის შემომწირველების შესახებ პოსტში წერდა, რომ „ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებს, ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, ყველა პოლიტიკოსი, რომელიც დაყვება და მხარს უჭერს, უკიდურესად უნდა შევავიწროვო თ. უნდა დავიმახსოვროთ, და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან.“

“ეს ისტერიული განცხადება უსათუოდ უკავშირდება კანდიდატების არსებულ რეიტინგებს, რომელთა მიხედვითაც, სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებლად იგებს არჩევნებს, ხოლო ნიკა გვარამიასა და ნაციონალური მოძრაობის პარტიული კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, შეიძლება მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს. ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება, რომელიც გასული 6 წლის მანძილზე არაერთგზის მწარედ დამარცხდა ქართული დემოკრატიის, საზოგადოების და სიმართლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიკა გვარამიას შეიძლება მართლაც აქვს იმის იმედი, რომ მის განცხადებებს რაიმე გავლენა ექნება საზოგადოების პოზიციაზე თუმცა საპირისპიროს ადასტურებს ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების ფართო ჩართულობა სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში.

საზოგადოება რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მკვეთრ პოზიციას ნიკა გვარამიას ფაშისტურ განცხადებებთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი გამოხმაურება არცერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელისგან არ მოგვისმენია, მეტიც ერთერთმა მათგანმა კერძოდ, მიხეილ ბენიძემ გვარამიას დაცვაც კი იკადრა, ანუ რეალურად უკადრებელი იკადრა, რაც უკიდურესად შემაშფოთებელია.

სამოქალაქო სექტორის როლი და იდეა არის უმნიშვნელოვანესი მათ შორის ქართულ-ამერიკული, ქართულ — ევროპული და ზოგადად ქართულ დასავლური ურთიერთობების კონტექსტში. პერსონალიები, რომლებიც ზოგიერთ ორგანიზაციას სათავეში უდგანან სამწუხაროდ, პოლიტიკურად ანგაჟირებულობის, ან პოლიტიკური მიკუთვნებულობის გამო აზიანებენ ამ იდეას. ჩვენი შეშფოთების მიზეზი სწორედ ესაა, რომ ზოგიერთი პოლიტიზირებული პერსონის გამო, ზიანდება თავად იდეა, არასამთავრობო სექტორის როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რაც დაუშვებელია. მინდა ხაზგასმით განვაცხადო, ვინც ხელს აფარებს ფაშიზმს, თავადაც არის ფაშიზმის თანამონაწილე. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორისაც არიან.”

„საერთო გაზეთის“ კომენტარი: პარალამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიების და თავად უნიათო ფაშისტის ნიკა გვარამიას მხრიდან დიდი პროტესტი და აღშფოთება მოჰყვა: როგორც ჩანს, კობახიძემ არ იცის, რას ნიშნავს ფაშიზმი, თორემ ნიკა გვარამიას როგორ უწოდებდა ფაშისტს, ან გვარამიასთვის ხელის დამფრებლებს ფაშიზმის თანამონაწილეებად როგორ მოიხსენიებდაო.

გვინდა ვუთხრათ ამ პატივცემულ გვამებს, რომ ირაკლი კობახიძეს არაფერი შეშლია — ის, რაც გვარამიამ თქვა, ნამდვილად არის წმინდა წყლის ფაშიზმი, ხოლო ვინც ფაშიზმის ამგვარ ღია გამოვლენაზე თვალს ხუჭავს და ყურს იყრუებს, დიახაც რომ ფაშიზმის მონაწილე და მხარდამჭერია.

წერილს ამ თემასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში იხილავთ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ბუმერანგი

ის, რასაც „ნაციონალები“ აკეთებენ, ეს არის შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არსებული ხელისუფლების დამხობას ისახავს მიზნად.

ვახტანგ ხარჩილავა:

„ნაციონალებს“ სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტების პანიკური შიში აქვთ და ამიტომაც მიმართეს მის წინააღმდეგ მათ ხელთ არსებული ყველა რესურსი.

„ნაციონალები“, რომლებსაც სინდის-ნამუსთან არასოდეს ჰქონიათ შეხება, ყველაფერს კადრულობენ, ყველანაირ აკრძალულ ხერხს იყენებენ, რომ სალომე ზურაბიშვილის სახელის დისკრედიტაცია მოახდინონ, ღირსება შეულახონ, სახელმწიდო ინტერესების ღალატსა და ორგულობაში დასდონ ბრალი.

„ნაცების“ ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“ საგანგებო რეჟიმში მუშაობს და დღედაღამ სალომე ზურაბიშვილის სახელს ატრიალებს წაღმა-უკუღმა, ხოლო 30 ლარად დაქირავებული „კრიკუნები“, მოხეტიალე ცირკის მსახიობებივით რომ დაბორიალობენ აღმა-დაღმა, მაინცდამაინც იქ ჩნდებიან ხოლმე, სადაც ქალბატონ სალომეს შეხვედრა აქვს თავის ამომრჩევლებთან და ხმამაღლა სკანდირებენ: მოღალატე! მოღალატე!

„ნაციონალებს“, რომლებსაც პიარტექნოლოგიების დიდ სპეციალისტებად მოაქვთ თავი, როგორც ჩანს, არ ესმით ელემენტარული რამ: როცა კონკურენტს ცილს სწამებ და ისეთ შეთითხნილ ბრალდებებს უყენებ, რომლებსაც რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს, ეს აუცილებლად შემოგიტრიალდება უკან, მით უმეტეს, თუ ის თვითონ გაქვს გაკეთებული, რასაც სხვას აბრალებ.

ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: იმდენი უძახეს სალომე ზურაბიშვილს რუსეთის აგენტი, ამ ბრალდების გარშემო ატეხილ დებატებსა და დისკუსიაში გაირკვა, რომ სინამდვილეში თურმე გრიგოლ ვაშაძეა რუსული პოლიტიკის პირშო, რუსული პოლიტიკის კალთაში გაზრდილი რუსეთუმე, რომელიც თავის თავს რუსეთის და რუსული კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და რომლის გულშიც რუსეთი სამუდამოდ არის ჩაბეჭდილ-აღბეჭდილი.

რაც შეეხება ღალატს, აღმოჩნდა, რომ სალომე ზურაბიშვილის დიდი ძალისხმევით საქართველოდან გაყვანილი რუსის ჯარი სწორედ „ნაციონალებს“ შემოუყვანიათ უკან 2008 წლის აგვისტოში და ფეშქაშად საქართველოს ტერიტორიის 20% მიურთმევიათ.

გრიგოლ ვაშაძე რომ ხარ, იმდენი კი უნდა გესმოდეს, რომ იმ დროს, როცა თვითონ იყავი ჯერ სსრკ-ისა და მერე მისი სამართალმემკვიდრის, რუსეთის, უშიშროების სამსახურების მაღალჩინოსანი, საფრანგეთში დაბადებულ და გაზრდილ ადამიანს, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ზურაბიშვილის შთამომავალს, რომლის წინაპრებიც სწორედ რუსეთის აგრესიის გამო გახდნენ იძულებულნი, სამშობლოდან წასულიყვნენ, რუსეთის აგენტი არ უნდა დაუძახო, რადგან ეს მომენტალურად ამოატივტივებს ადამიანების გონებაში აქამდე მითვლემილ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ ხარ შენ თვითონ.

გამოდის, რომ შენ თვითონ ახდენ საკუთარი თავის დისკრედიტაციის პროვოცირებას.

პიარტექნოლოგიების ცოდნაა ეს თუ სიბრიყვე?

როცა ნიკა გვარამია, რომელიც ბოლო ხანებში გაუპატიურებულ ოფოფს დაემსგავსა, მაყურებელს მოუწოდებს: ხმა არ მისცეთ სალომე ზურაბიშვილს — ის მოღალატეა! ამას მე ვამბობ, როგორც მოქალაქე და როგორც პატრიოტიო.

აი, ამ სიტყვა „პატრიოტმა“ გაიფუჭა ყველაფერი, რადგან მაყურებელთა დიდმა ნაწილმა ძალიან კარგად იცის, როგორი პატრიოტიც არის გვარამია, გვარამია, საკაშვილის კუდის ამწევი, საკაშვილის ბოროტ საქმეთა „გამპრავებელი“, მისი თანამოაზრე და „პადდელნიკი“.

გვარამიამ კიდევ ერთი ზესკანდალური განცხადება გააკეთა ამასწინათ: — ყველაფერს ვხედავთ! ყველაფერს ვაკვირდებით! ყველას გიმახსოვრებთ! როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, მათ, ვინც ზურაბიშვილს მისცა ხმა, ამ მიწაზე ფეხს არ დავადგმევინებთო.

ამ სიტყვების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ისინიც კი, ვინც საერთოდ არ აპირებდნენ არჩევნებზე მისვლას, აუცილებლად წავლენ და ხმას სალომე ზურაბიშვილს მისცემენ, თუნდაც იმიტომ, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველო მთლად არ დაცარიელდეს მოსახლეობისგან.

გვარამიამდე ცოტა ხნით ადრე „ჭკვიანმა“, „განათლებულმა“ საერთაშორისო დონის „დიპლომატმა“ გრიგოლ ვაშაძემ კიდევ უფრო უარესი რამ დაახეთქა: ჩემი ნება რომ იყოს, ბედუკაძეს შუბლს გავუხვრეტდიო.

ცხადია, სადაც ბედუკაძეს გაუხვრეტს შუბლს ამხანაგი გრიგოლი, იქ არც სხვების შუბლებს დაინდობს, ეს იცის ამომრჩეველმა და თუნდაც საკუთარი შუბლის გადასარჩენად ხმას არავითარ შემთხვევაში ვაშაძეს არ მისცემს — რა იცი, როდის რა წამოუვლის და ვისი შუბლი მოეწონება გასახვრეტად, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ფსიქოლოგს თუ დავუჯერებთ, ვაშაძეს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

ერთი ხომ გვყავდა ფსიქიკური პრობლემებით, ახლა მეორეც იმავე პრობლემებით ავირჩიოთ?

ქვეყანაა თუ ფსიქიატრიული ლაზარეთი?

კვირა არ გავა, „რუსთავი-2“-ის ეთერში სააკაშვილი არ ჩაერთოს სკაიპით რომელიმე ქვეყნიდან.

თითოეული მისი ჩართვა საღად მოაზროვნე საზოგადოებისთვის კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მობრუნება ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს იქნება სრული კატასტროფა ქართული სახელმწიფოსთვის.

— მე, მაგალითად, საქართველოდან ცარიელი ჯიბით წამოვედი, ახლაც რამდენიმე ათასი ევრო თუ მიდევს ანგარიშზეო, — ამბობს ამას სააკაშვილი და თან თვალებში გვიყურებს, ეს იმ დროს, როცა ექსპერტთა დაანგარიშებით, „ნაციონალებმა“ ცხრა წლის მანძილზე 16 მილიარდი „აითვისეს“ და მითვისეს.

მაყურებელი რამდენიც სააკაშვილს დაინახავს, ცხადია, იმწამსვე ამოუტივტივდება გონებაში „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის კოშმარები და ოქუაშვილ-ყიფიანის ბეჟუტური თუ მითიური ფარცხალაძის ვითომდა აბრაგობის ამბავი სასაცილოდ მოეჩვენება.

ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე არ ლაპარაკობენო, გსმენიათ თქვენ ეს გამოთქმა, ნაცებო?

როგორც ჩანს, არ გსმენიათ, თორემ თქვენს მიერ სასიკვდილოდ გამეტებულ და სახრჩობელაზე აყვანილ საქართველოში ამდენს არ ილაქლაქებდით თოკზე, რომელსაც საკუთარი ხელით გამოუნასკვეთ მარყუჟი.

„ნაცებო“, თქვენ აზრზე არ ხართ, მაგრამ იმ საარჩევნო კამპანიით, რასაც თქვენ ასეთი რიხით და ბაქიბუქით აწარმოებთ, სინამდვილეში „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამთ წყალს და სალომე ზურაბიშვილს მომხრეებსა და მხარდამჭერებს უმრავლებთ.

თუმცა, რაც მართალია, მართალია, ზოგჯერ არც „ქართული ოცნება“ გრჩებათ ვალში და ხანდახან ისეთ თემებს გამოგიგორებთ, მტრისა და კონკურენტისთვის კი არა, მოყვარული ძმისთვის რომ ვერ გაიმეტებს კაცი...

●

„პროდასავლელმა“ ვაშაძემ რუსი „პიარშჩიკები“ ჩამოიყვანა საარჩევნო კამპანიის ეფექტურად ჩასატარებლად, ამ პატივცემულმა რუსებმა კი ისე დაგეგმეს ვაშაძის საარჩევნო კამპანია, გეგონება, ვაშაძეს საპრეზიდენტოდ კი არა საომრად ამზადებენ.

ზოგადად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „ნაციონალები“ არჩევნების დღისთვის, 28 ოქტომბრისთვის კი არა, 29–30 ოქტომბრისთვის ემზადებიან, რომ ვითომ გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად მოქალაქეები ქუჩაში გამოიყვანონ და დესტაბილიზაციის, არეულობის, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება სცადონ.

ფაშისტი გვარამია და ადგილობრივი წარმოების სხვა „ნაციონალი“ ფაშისტები რუს პიარშჩიკებთან ერთად, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ამ „დიადი“ და „ნათელი“ მიზნის რეალობად ქცევას ცდილობენ, რადგან მათ შესანიშნავად იციან, რომ ნორმალურ, მშვიდ, ობიექტურად ჩატარებულ არჩევნებში მათ მენტალურად რუს კანდიდატს გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს.

ის, რასაც „ნაციონალები“ აკეთებენ, ეს არის შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არსებული ხელისუფლების დამხობას ისახავს მიზნად.

როგორ უნდა იმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ ასეთ შემთხვევაში — დაელოდოს 29–30 ოქტომბერს, როცა სპეციალურად ამ სიტუაციისთვის მომზადებული „ბოევიკები“ ავტომატებით ხელში გამოვარდებიან ქუჩებში თუ წინასწარ მიიღოს ზომები ამ დივერსიის აღსაკვეთად.

არა მარტო მოქმედება, არამედ უმოქმედობაც ზოგჯერ ბუმერანგივით უბრუნდება უკან მას, ვინც მკვეთრი გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებს.

ამის სამწუხარო მაგალითები თუნდაც ჩვენს უახლოეს ისტორიაში მრავლად გვაქვს.

იმედია, ხელისუფლება ამ მწარე მაგალითების გათვალისწინებით იმოქმედებს და არ დაუშვებს, რომ 28 ოქტომბერი საპრეზიდენტო არჩევნების ნაცვლად, ადგილობრივმა თუ გარედან მოწვეულმა ფაშისტებმა სასაკლაოდ აქციონ.

●

ბუმერანგი ჰქვია სათაურად ამ წერილს.

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი, რაც ამ სამყაროში ხდება, ბუმერანგის მოქმედების პრინციპის მიხედვით ხდება.

ასეა პირად ცხოვრებაშიც, ასეა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

ვერაფერს ვერ მოიშორებ, ვერაფერს ვერ მოისვრი — ყველაფერი უკან გიბრუნდება და ცხვირში გირტყამს.

ასე იქნება 28 ოქტომბრის არჩევნებშიც — ყველას ყველაფერი წინ დაულაგდება და ამომრჩეველიც ამის მიხედვით გააკეთებს არჩევანს...

პოლიტიკა, თუთუნი და ნატოს კალმის წვერი

იცით, ყველაზე მეტად რა მაწუხებს? ის, რომ ადამიანები ძველ, დაჩხაპნილ "პლასტინკას" დაემსგავსნენ, გინდა გადაატრიალე, გინდა – გადმოატრიალე, აზრი აღარ აქვს. როდესაც ნიღბიანი და ავტომატიანი "მიხუინები" "იბერიაში" შეცვივდნენ, მთელი ღამე იქ ვიყავი, თავისუფალ სიტყვას ვიცავდი. ახლა კი ზაზა ოქუაშვილი ლონდონიდან აცხადებს, ჩემთვის არაფერი წაურთმევიათ, ბუზიც არავის აუფრენია, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ სხვანაირი პოლიტიკური აზრები მაწუხებდაო. რა გამოდის? ესე იგი, მე (ჩვენ) ვიცავდით არა "იბერიას", არა თავისუფალ სიტყვას, არამედ ოქუაშვილის პოლიტიკურ ორიენტაციას. როგორც სააკაშვილი ამბობს მასთან შეთანხმებით, ავტომატებით შეცვივდნენ იმიტომ, რომ მეთუთუნე ზაზა ასლან აბაშიძეს უჭერდა მხარს. მაშინ ამიხსენით, თუ ასე იყო, მე რა მინდოდა იქ, მე ხომ არასოდეს ვემხრობოდი ასლან ბაბუს? მოგვატყუეს, მაკააარ, მოგვატყუეს, ამ შობელძაღლებმა და ახლაც გვატყუებენ!

ნატო ჩხეიძე – ზაზა ოქუაშვილის კნეინა. ცნობილი მწერლის, ოთარ ჩხეიძის ქალიშვილი. ბავშვობაში ბატონ ოთარის მოთხრობებს ხშირად ვკითხულობდი (ის დრო იყო, ყველაფერს რომ კითხულობდნენ). მართალია, ცოტა რთული ენით წერდა, ერთი და იმავე სიტყვას ერთ წინადადებაში მრავალჯერ იმეორებდა, მაგრამ ამბის მოყოლა მაინც იცოდა. როგორც ჩანს, ნატოს მამისგან მხოლოდ წერის სირთულე დაჰყვა, ამბის მოყოლა კი ვერა და ვერ ისწავლა. უფრო სწორად, ამბავს ყვება, მაგრამ მიზანი, გარემოება, სიტუაცია და მორალი გაუგებარია. ამ დღეებში, როცა ოქუაშვილი დაუკრეფავში გადავიდა და ნიკა გვარამიას კარნახით საზოგადოებას თავისი პრუწუნ-პრუწუნი ამცნო, ნატომ ეგრევე კალამს წამოავლო ხელი და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა, ფრთხილად იყავ, ბალღო, თორემ ზედ კალმის წვერზე მიზიხარო:

"უნდა მივმართო მეცხრე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარეს – კალმის წვერზე მიზიხართ! ბატონი ირაკლი კობახიძე უნდა ვამხილო ჩემი ოჯახის მიმართ მიზანმიმართული სიცრუის გავრცელებაში".

ეს კიდევ არაფერი... ნატომ საკუთარი თავი მიხეილ ჯავახიშვილს შეადარა. ეს როგორრო? იკითხავთ თქვენ და მართლებიც იქნებით... აბა, სად ქალბატონი ნატო და სად – მიხეილ ჯავახიშვილი? თუმცა ნუ ჩქარობთ, ჯერ მისი ნათქვამი წავიკითხოთ:

"მიხეილ ჯავახიშვილმა ერთხელ ბახჩო ქობულოვს უთხრა: – კალმის წვერზე მიზიხარო. მართალია, მიხეილ ჯავახიშვილი 1937 წელს დახვრიტეს, მაგრამ ეს კალმის წვერი თაბახის ფურცლებად იქცა და ახლა ყველამ ვიცით, ვინ არის მიხეილ ჯავახიშვილი და ვინ არის ბახჩო ქობულოვი. უნდა განვმარტო, რომ "ქართულ ოცნებას" არავითარი წვლილი არა აქვს ზაზა ოქუაშვილის ბიზნესის დაბრუნებაში, "იბერიას" დაბრუნებაში და თვით ზაზა ოქუაშვილის დაბრუნებაში, როგორც ამას წარბშეუხრელად ბრძანებს პარლამენტის თავმჯდომარე".

აი, ხედავთ? არაო, ხალხო, არა და არაო... ჩვენ, გორელი ჩხეიძეები, მეთუთუნე ოქუაშვილები და მით უმეტეს, ჯავახიშვილის შთამომავლები იგეთი მაგრები ვართ, ბიზნესს ვერც ვერავინ წაგვართმევდა და ვერც ვერავინ წაგვართმევსო... ჰო, აბა, რეებსა ჩმახავთ, 2004 წლიდან მოყოლებული "იბერია" წარმატებით მუშაობდა, უბრალოდ თქვენ ვერ ხედავდითო... ჰო, აბა, პაპიროსსაც შეუფერხებლად ვუშვებდით და ზაზას კიდე ნეტა რა სჭირდა თქვენი დასაბრუნებელიო? ჰოდა... ისევ, მოგვატყუეს, მაკაააარ, მოგვატყუეს და ისევ გვატყუებენ, ეს შობელძაღლები. გამოდის, ესენი 2004 წლიდან სააკაშვილთან ყოფილან შეკრულები, ჩვენ კიდე გვეგონა, ესაო და ისაო!

ნატომ ნოველა გამოაქვეყნა თავის პარტიაზე, "პატრიოტთა ალიანსზე", სულ გარეთ გამოიტანა შიდა სამზარეულო, თანამედროვე ენაზე "ქუხნას" რო ეძახიან. მანამდე კი ნატო პარლამენტის თავმჯდომარეს დაემუქრა, ზედ წვერზე მიზიხარ, შე ქობულოვო, მე ჯავახიშვილი გახლავართ, რომელიც ისტორიას სახელოვან ადამიანად შემორჩენიო. ჰოოო, შენ იკითხე, თორემ მე და ზაზა უკვე ეროვნული გმირები გახლავართო. აი, ეს ირმა ინაშვილი კიდევ საერთოდ ვის დაჰკარგვია, მაგის პარტიულ ოფისში რომ დავდიოდი, იცით, რეები ხდებოდა? ნეტა რეები ხდებოდა? აი, მწერლური ინტრიგა. მოდით, ერთი ვნახოთ. სტილი დაცულია:

"დროდადრო", ასე ერქვა მამაჩემის ჩანაწერებს და ასე დავარქვი მეც. გადავხედე ამ ჩემს "დროდადროს" და თვალში მომხვდა "პატრიოტთა ალიანსის" პარტიული სხდომის შესახებ ჩემი ჩანაწერი სათაურით – გაფართოებული თათბირი.

პარტიის ლიდერები ბრიუსელში მიდიან და წასვლამდე საღამოს 7 საათზე გაფართოებული თათბირი მოიწვიეს: პარლამენტის და საკრებულოს დეპუტატები, პარტიული აქტივი, ადმინისტრაცია. თათბირის დაწყებამდე დემოკრატიასა ა და სამართლიანობაზე იყო საუბარი და ბუნებრივად ამ სულისკვეთებითვე უნდა გაგრძელებულიყო. პირველ საკითხათ მოისმინეს: ანეგდოტი სტალინზე, რომ მან მოიწვია პოლიტბიურო და უთხრა, ქვეყნის უკეთესი აღმავლობისთვის საჭიროა "პერეკრასიტ კრემლ ი რასტრელიტ კაჟდავაჩეტვიორტავა ჩელავეკა". სიჩუმის მერე ერთმა თქვა: "ა ზაჩემ პერეკრასიტ?" და სტალინმა, როგორც ხალხთა მამამ გაითვალისწინა აზრი და დათანხმდა: " და მოჟეტე ი ნე პერეკრასიტტ".

აზრი გამოითქვა, რომ სტალინმა ომში გაჟლიტა 300 ათასი ქართველი და ომამდე მთელი თავადაზნაურობა. დაადგინეს: სტალინი ტირანი იყო, მაგრამ მოიგო ომი. მეორე საკითხათ მოისმინეს დიდმარხვის შესახებ ინფორმაცია: რომ საჭიროა არა მხოლოდ საკვებით მარხვა, არამედ სულიერად, ლოცვით და აღსარებით და ფიზიკურად სექსის შეკავებ თ. ითქვა, რომ ყველანი შურიანები ვართ და საჭიროა აღსარების დროს ამ ცოდვის მონანიება.

- არა ვარ შურიანი! – გაისმა დარბაზში.

- არც მე! არც მე! არც მე!- მაშინვე აჰყვნენ დანარჩენები.

- ეგ თქვენ გგონიათ, რომ არ ხართ შურიანი. როგორ არ ხართ. და თან ქედმაღლებიც ხართ, რომ ვერ იგებთ, რომ შურიანები ხართ!- იყო მკაფიო ახსნა.

- არა ვართ, არა!.. არა!.. – არ თმობს სათათბირო.

- არა ხართ, არა?.. აბა მითხარით, არ გინდათ, რომ სხვა პარტიებს აჯობოთ?

- გვინდა!.. როგორ არ გვინდაა!.. აბა მეტი რა გვინდა!.. მაგისთვის არ ვიკლავთ თავს?.. გვინდა!.. გვინდა!.. – მკერდში მჯიღს ირტყავს სათათბირო.

- ჰოდაა, ეგ არის, რომ შურიანები ხართ!.. თან ქედმაღლები და კიდევ ამპარტავნები!..

დაადგინეს: ყველამ ჩააბაროს აღსარება და მოინანიოს შური, ქედმაღლობა, ამპარტავნება და სხვა მისთანანი. მოისმინეს, რომ დიდმარხვის დროს საჭიროა მარხვა სექსთან მიმართებაშიც. აზრი გამოითქვა, რომ სექსის შეკავება საზიანოა მამაკაცთა ჯანმრთელობისათვის და სასურველია მისი დაშვება. მოისმინეს ინფორმაცია, რომ ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი მძიმე მარხვაა და ვერ დაიშვება, რომ შაბათს ადამიანი ფაქტობრივად ქრისტესთან ერთად კვდება და კვირას განახლდება, ასე რომ ესეც მძიმე მარხვაა და ვერ დაიშვება, რომ ხუთშაბათი ფეხების განბანვაა ვა და მასთან დაკავშირებული თავმდაბლობა ა და შესაბამისად მძიმე მარხვა და ამიტომ ვერ დაიშვება. რჩება სამშაბათი. დაადგინეს: დიდმარხვის პერიოდში სექსი დასაშვებიაა კვირაში ერთხელ, სამშაბათ დღეს. შეკითხვა დაისვა მორიდებული ხმით:

– შაბათ -კვირას არ შეიძლება?

– შაბათს როგორ შეიძლება, მკვდარი ხარ. – იყო პასუხი.

- მკვდარი როგორ ვარ, სამშაბათის გადაცვლა მინდა შაბათზე. – გაისმა ისევ მორიდებული, მაგრამ მტკიცების ნოტის მემცველი ხმა.

- არა, შაბათს მკვდარი ხარ!- იყო მკაცრი პასუხი.

- და კვირა? კვირაც არა? – სუსტად გაიბრძოლა ერთადერთმა პროტესტანტმა.

- კვირას განახლდები, ყველა ცოდვას სტოვებ და როგორ შეიძლება. მარტო სამშაბათს! – პასუხი ურყევია.

- სამშაბათი არ მაწყობს, არ მაწყობს... – ხელებს იქნევს პოეტი.

დაადგინეს: მხოლოდ სამშაბათი! და ოთარაშვილი აღდგომამდე მოიცდის. უკვე რვის ნახევარია. გაჩქარებული ნაბიჯით შემოდის ერეკლე საღლიანი და ამბობს: შვიდი საათია. ზუსტად დროზე მოვედი.

- დროზე როგორ მოხვედი? – გაისმის აქეთ-იქიდან.

– შვიდია და მოვედი – არის დინჯი პასუხი.

- სად არის შვიდი, სად? – არ ცხრება შეკითხვები.

– ჩემს საათში – ისევ დინჯი პასუხი.

- გვაჩვენე საათი – არ ისვენებენ ურწმუნონი.

- საათი სახლში მაქვს. ზუსტად შვიდი იყო, რომ შევხედე.

დაადგინეს: არაფერი აღარ უთხრან საღლიანს და მიიღონ ისეთი, როგორიც არის. მოისმინეს მესამე საკითხი: პრემიერის განცხადების ტექსტი და მასზე გამოხმაურების თეზისები. დაადგინეს: პრემიერს ამ საკითხში ეთანხმებიან. მაგრამ მხოლოდ ამ ერთ საკითხში ანუ ამ თემის ასეთ მიდგომაში. ამ ერთადერთ საკითხში მხოლიდ და ... ასე, რომ მაინც ჩვენი გადასაყენებელიაო. მოისმინეს: ცხინვალში მიმდინარე პროცესები, რომ საქართველოს ორი მოქალაქე გამოუშვეს, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა კათალიკოს-პატრიარქის წერილმა, ასევე ხელისუფლების განცხადებამაც. გარდა ამისა ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა უამრავმა სხვა ადამიანმაც პატრიოტთა ალიანსიდან. დაადგინეს: საჭიროა შევინარჩუნოთ დუმილი. მოისმინეს: თეზისების სახით ძირითადი გასახმოვანებელი მოსაზრებები. დაადგინეს: მიღებული მითითებები ურყევად არის შესასრულებელი. და... მორჩა თათბირი".

* * *

ჩვენ, რიგით მოკვდავებს ჯერ კიდევ ბალღობაში გვასწავლიდნენ, იმ ჭაში არასოდეს ჩააფურთხოთ, საიდანაც წყალს სვამდით ან სვამთო. როცა წამოვიზარდეთ, თვითონაც მივხვდით ამ ჭეშმარიტებას და ჭაში არასოდეს ვაფურთხებთ. აი, ნატომ კი ჩააფურთხა – ანუ მსხრად აიგდო ის პარტია, ის ადგილი, სადაც ნაფტალინი ჩამოიფერთხა. მოკლედ, სახელოვანი მწერლის შვილმა ვერ ივარგა მწერლად, ვერ შემოაგდო სკანდალი ქართულ პუბლიცისტიკაში, თვითონვე გახდა საზოგადოების დასაცინი.

გელა ზედელაშვილი

ნიკო ნიკოლაძე და ჩვენებური უმადურობა

ამირან გომართელი:

ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ნიკო ნიკოლაძეს გაუკეთებია – როგორც მწერალს, მრეწველსა და სახელმწიფო მოღვაწეს, შეუძლებელია. მოკლე აღწერასაც კი რამდენიმე ტომი არ ეყოფა. არჩილ ჯორჯაძემ მას „ულმობელი საქმის კაცი“ უწოდა. გაივლის კიდევ ერთი საუკუნე და მის შვილთაშვილსაც ვერ ჩავუთვლით მიკერძოებად – „ნიკო ნიკოლაძე ახალი საქართველოს მაშენებელია!“ (სალომე ზურაბიშვილი).

ეს ჭეშმარიტად დიდი საქმეების კაცი დაუმსახურებელი საყვედურისა და ცილისწამების ობიექტიც არაერთხელ გამხდარა. ამაზე მოგვიანებით... მანამდე ცოტა რამ გავიხსენოთ მისი მოღვაწეობიდან.

ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. როცა აგიაშვილკანდელაკებმა გადამთიელ ნიკოლოზ ნოვოსელსკის ჩალის ფასად მიჰყიდეს ის ადგილი, სადაც ქვანახშირი მოიპოვებოდა, ნიკო ნიკოლაძე დიდად შეშფოთდა – „ჩვენი უმჯობესი სიმდიდრე ჩვენი ხელიდან გადის“-ო. მერე თავად გამოისყიდა აგიაშვილებისა და კანდელაკების წილი.

დიდი წვალების გადატანა და ათასგვარი ბიზნეს გეგმის შედგენა დასჭირდა, დაემტკიცებინა – ქვანახშირის გამოსაზიდად ტყიბულამდე რკინიგზის მიყვანის საჭიროება. ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. 1889 წელს ს/ს საზოგადოება „ნახშირი“ დააარსა და ტყიბულის შახტებიც მთელი დატვირთვით ამუშავდა.

თბილისი-ფოთის რკინიგზამ ქუთაისს გვერდი აუარა, ქალაქი ჩიხში მოექცა, დასავლეთ საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო ცენტრმა დაქვეითება იწყო. ნიკო ნიკოლაძემ განგაში ატეხა და ქუთაისი შვიდვერსნახევრიანი ლიანდაგით ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირეს. ამ საქმეში ნიკოს ლომის წილი ედო.

ტყიბულზე ზრუნვის პარალელურად, თითქმის 10 წელიწადს, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსს, მელერს ებრძოდა ჭიათურის მარგანეცის საბადოების ამუშავებისათვის. აქაც გაიმარჯვა.

ჭიათურიდან ფოთში შავი ქვის ურმებით ზიდვას დიდი სარგებელი არ მოჰქონდა. მთავრობას შორაპნიდან ჭიათურამდე რკინიგზის გაყვანის აუცილებლობას უმტკიცებდა. გადამთიელი მელერი ამ საქმეშიც შეეწინააღმდეგა – რკინიგზა მთავრობას ძვირი დაუჯდება, თემშარა გავიყვანოთო. ამას რა აზრი ჰქონდა. თემშარაზეც ისევ ურმებს უნდა ეჩოჩიალათ. ნიკოლაძემ მაინც თავისი გაიტანა. 1895 წელს ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიხსნა. ნიკო ნიკოლაძეს კი მაინც საყვედური ერგო. სხვებზე რა ვთქვათ, როცა ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწემ და პატრიოტმა, როგორიც გიორგი მაიაშვილი (ზდანევიჩი) იყო, საჯაროდ უკიჟინა – თუ რკინიგზა გაგყავდა, ბარემ ფართოლიანდაგიანი გაგეყვანაო, ეს უმადურობა იმასთან არაფერია, რაც მაშინ მოხდა, როცა ნიკო ნიკოლაძემ ფოთი გადაბუგვა-განადგურებას გადაარჩინა.

ფოთის ქალაქის თავად 1894 წელს აირჩიეს. ჭაობიანი დასახლება ნიკოლაძემ საპორტო ქალაქად გადააქცია. ფოთის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ 1871 წელს წერდა:

„ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში. რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია, ინდოეთთანაც“. ეს ხომ, ფაქტობრივად, იმ „აბრეშუმის გზის“ პროექტია, რომლის განხორციელებასაც ჩვენ 150 წლის მერე ვცდილობთ.

1906 წელს ფოთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

ალიხანოვ-ავარსკიმ, რომელსაც მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა „სომეხი ხალხის ღირსეული შვილი“ უწოდა, მთელი დასავლეთ საქართველო გადაწვა და გადაბუგა, როცა ფოთის ასაოხრებლად დაიძრა, მალთაყვის გზაზე ნიკო ნიკოლაძე გადაუდგა და შეაჩერა: ფოთი ერთი კვირის წინ უცხოეთში დავაზღვიე და თუ დააქცევთ, მთელი ზარალის ანაზღაურება პირადად ხელმწიფე-იმპერატორს მოუწევსო. ალიხანოვ-ავარსკი დაფრთხა – მეფე არ დავაზარალოო და უკან გაბრუნდა. ფოთი განადგურებას გადაურჩა, მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე ვერ გადაურჩა მოღალატისა და მთავრობასთან „შეკრულის“ იარლიყს. ასე შეამკეს ფოთელებმა თავიანთი მხსნელი და გადამრჩენი. თითქოს საბუთიც ჰქონდათ – თუ ასე ადვილად შეგეძლო ალიხანოვის შეჩერება, მაშინ რატომ არ შეაჩერე, როცა გურია გადაწვაო.

გიორგი ზდანევიჩი

მოგვიანებით, 1914 წელს, როცა ნიკო ნიკოლაძე მის მიერ აშენებული და დამშვენებული საპორტო ქალაქის მერობიდან ცრუბრალდებით გადააყენეს, კიდევ ერთხელ გაუხსენეს – თუ კარგი კაცი იყავი და მთავრობას არ ემსახურებოდი, ფოთი დანგრევა-განადგურებისაგან როგორ იხსენიო.

რა ექნა ნიკოს, აზრი აღარ ჰქონდა იმის საჯაროდ მტკიცებას, რუსის მეფის ერთგულსა და ქართველთმოძულე ალიხანოვს ჭკუით ვაჯობე და გავაცუცურაკეო.

უმადურობისა და უსამართლობის ეს გასაოცარი ფაქტი, რომელიც აღწერილია აკაკი ბაქრაძის პუბლიკაციაში „ნიკო ნიკოლაძე და ქალაქი ფოთი“ ნიკოს ბადიშის, სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ ატეხილმა ასეთივე აჟიოტაჟმა გამახსენა.

ამგვარი წრეგადასული ლანძღვა-გინებისა და ინსინუაციების ახსნას და პასუხს ისევ ნიკო ნიკოლაძესთან ვპოულობთ:

„ყოველთვის, როცა მწერალს (ჩვენს შემთხვევაში პარტიას, მედიას – ა.გ.) არაფერი აქვს სათქმელი, როცა ვერაფრით უარყოფს მოწინააღმდეგის მოსაზრებებს, როცა არ სურს სცნოს საკუთარი სისუსტე, ეტანება ინსინუაციებს, ძირს უთხრის მოწინააღმდეგის ზნეობრივ სიწმინდეს, მიმართავს ცილისწამებას და ლანძღვა-გინებას“.

ვინც ჩვენს ხმას შეისმენს

საპრეზიდენტო არჩევნების წინ არნახული და ყურით გაუგონარი, საშინელი ინფორმაციების კორიანტელია ქვეყანაში...

რას არ მოისმენს, ვინ ვის ესვრის ტალახს, ვინ ვის აბინძურებს...

ვინ ვის და ვინ ვის... ერთი სიტყვით, მისამართიან თუ უმისამართო ლანძღვა-გინებას, პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ინტრიგას ბოლო არ უჩანს... საფიქრებელია, ამ უაზრო ორომტრიალში ჩვენდაუნებურად მოყოლილებს წინ რა გველოდება?... საით მივექანებით?... რა ელის ჩვენს შვილებს?... ჩვენს მომავალს? ჩვენს იმედს?... შვილები შემთხვევით არ მიხსენებია, რაგანაც მოზარდის დედა ვარ და ისე როგორც ყველა მშობელს, ბუნებრივია, მეც ჩემი შვილის მომავალი მაღელვებს... მაღელვებს ის, თუ რა ხდება განათლების სისტემაში... განსაკუთრებით საგონებელში ჩამაგდო იმ უახლესმა ინფორმაციამ, რაც განათლების სფეროში ხდება... ჩვენ პატარა ქვეყნის შვილები ვართ... ვერც ევროპულ და ვერც აზიურ მეგასახელმწიფოებს ვერაფრით ვერ გავაკვირვებთ, ვერც მიკრო და ვერც მაკრო ეკონომიკით... ჩვენ ნიშნული ქვეყანა

ვართ და ჩვენი პრიორიტეტი მხოლოდ განათლება და კულტურაა... ჩვენ ჩვენი განათლებით და კულტურით გვიცნობს მსოფლიო... მაგრამ, რაც ბოლო პერიოდში ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში ხდება, მტერსაც კი არ უნდა ვუსურვოთ და მტრის შვილიც არ უნდა გავწიროთ ასეთი გაურკვეველი მომავლისათვის... „კაცისგან განწირულს, ღმერთი არ განწირავსო“ და დიდება უფალს, არიან ადამიანები, რომლებიც უფლის წყალობით, გამოჩნდებიან ხოლმე ჩვენს გვერდით და მათი დახმარებით შესაძლებელია სულ მთლად წყალმა და მეწყერმა არ წაგვიღოს, არც ჩვენ და არც ჩვენი მომავალი თაობა...

შვებით ამოვისუნთქე, როდესაც მინისტრმა ბატიაშვილმა განათლების სისტემას მოაცილა თამარ სანიკიძე, მაია მიმინოშვილი, ლია გიგაური, გიორგი მაჩაბელი და სხვები... ბოლო პერიოდის პრესის ფურცლებზე ამოვიკითხე სამართლებრივი შეფასება მათ მიმართ, რასაც ეთანხმებიან ჭეშმარიტად განათლებული, ქვეყნის კარგი და ნათელი მომავლის მსურველნი... „სააკაშვილის რეჟიმის დასრულების შემდეგ საქართველოში ასეთი რევოლუციური ნაბიჯის გადადგმა არავის გაუბედავს. მიხეილ ბატიაშვილმა, რომელიც ჩემს თვალში გმირია, საქართველოს მოაშორა განათლების სისტემაში მრავალი წლის განმავლობაში ჩანერგილი მონსტრები, რომლებიც ქვეყნის განვითარებისვის კი არა, განვითარებული სამყაროდან ქვეყნის დაშორებისთვის მოღვაწეობდნენ... თამარ სანიკიძის მმართველობის პერიოდში აყვავდა ნეპოტიზმი სამინისტროში... თამარ სანიკიძისთვის განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დევნა მოწოდებად იქცა, რისიც არაერთი მტკიცებულება არსებობს. ვიმედოვნებთ, დიდი ინტელექტით არგამორჩეული ამ მონსტრის საქმიანობასაც გამოაშკარავებს აუდიტის სამსახური“... საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ პრეზიდენტი, ლალი ბერძენიშვილი, მიხეილ ბატიაშვილის გადაწყვეტილებას ისტორიულს უწოდებს და საკადრო ცვლილებების გაგრძლებისაკენ მოუწოდებს...

ყველაზე დიდი გაოგნება (არა მხოლოდ ჩემი, არამედ ქვეყნის განათლებული და წესიერი ადამიანების დიდი არმიისა) გამოიწვია მათ (ავტორიზაციის სამსახურის) მიერ ნასროლმა ტალახმა და სიბინძურემ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, მარიამ ჯაშის მიმართ...

გამაოგნებელი იყო ის ბინძური, თითიდან გამოწოვილი და უსახური ბრალდებები, რასაც განათლების სისტემას სულ ახლახან ჩამოშორებული „სექტის“ წევრები აფრქვევდნენ, მარიამ ჯაშის მიმართ. ამაზრზენი იყო ვინმე (განათლების სისტემაში მომუშავე ექსპერტის) ლია ღლონტის მონოლოგი იმის შესახებ, თუ როგორ დაურეკა მარიამ ჯაშმა მას და სთხოვა, არ დაეხურა ერთ-ერთი წარმატებული უმაღლესი სკოლა „ჰიპოკრატე“ და ა.შ. მან კი ის პრინციპულად დახურა... ხსენებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩემი ახლობელი ახალგაზრდები სწავლობდნენ, რომლებმაც სერიოზული სულიერი ტკივილი განიცადეს სასწავლებლის დახურვის გამო... მართალია, ისინი ამჟამად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობენ სწავლას, მაგრამ დღესაც დიდ ტკივილს განიცდიან და ნატრობენ „ჰიპოკრატეში“ დაბრუნებას... ახალგაზრდები თვლიან, რომ „ჰიპოკრატე“ იყო მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტებული, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, თანამედროვე სტანდარტების მქონე უმაღლესი სკოლა, სადაც ისინი მართლაც კარგ ცოდნას იღებდნენ... როდესაც ტელეეკრანებიდან მარიამ ჯაშის მიმართ ბრალდებები გაისმა, ერთ-ერთმა მათგანმა (სტუდენტმა და მისმა მშობელმა) აღელვებულმა დამირეკა და მითხრა: „რა უსინდისო ქალბატონია!... ესენი ვინ არიან?!... მარიამ ჯაში ჩვენ არაერთხელ შევაწუხეთ, რომ მივეღეთ და ჩვენთვის მოესმინა, რათა ჩვენი ინსტიტუტი არ დაეხურათ... ქ-მა მარიამმა მიგვიღო, მოგვისმინა, დაგვამშვიდა და დაგვპირდა გვერდით დგომას, რათა არ დავზარალებულიყავით... მან ჩვენს თვალწინ დაურეკა ვინმე ლია ღლონტს და სთხოვა, რომ ობიექტურად და ადამიანურად მიდგომოდა ჩვენს საკითხს, გაეთვალისწინებინა ყველა ის კარგი და ღირსეული, რაც ჩვენს სასწავლებელს „ჰიპოკრატეს“ ჰქონდა და თუ რამე ხარვეზი აღმოაჩინეს, მიეცათ გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად... ქალბატონმა მარიამმა ჩვენს გამო დაურეკა ლია ღლონტს, რათა ჩვენ, უპირველესად სტუდენტები, მშობლები და ღირსეული პროფესორ-მასწავლებლები არ დავზარალებულიყავით...

სამწუხაროდ ლია ღლონტს მყისვე დაუჭირა მხარი ოპოზიციურმა დაჯგუფებამ, რომელთა ჭკუით საეჭვოდ ჩაითვალა მარიამ ჯაშის მხრიდან მხარდაჭერა დაზარალებული და მომჩივანი ადამიანებისადმი... მათ დიდი ფიქრი არ დასჭირვებიათ იმაზე, რომ მ. ჯაში კორუფციაში დაედანაშაულებინათ... ვინც მარიამ ჯაშს იცნობს, დამეთანხმება-მკვდარს სიცილი, რომ დააბრალო უფრო დასაჯერებელია, ვიდრე მარიამს კორუფცია... რას ვიზამთ „ენას ძვალი არა აქვსო“... მითუმეტეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც მარიამ ჯაში კორუფციაში დაადანაშაულეს, ქვეყნის უახლეს ისტორიაში (დაწყებული 90-იანი წლებიდან) კორუფციის ისეთი კორიანტელი დაყენეს, რომ მათი გადამკიდე ქვეყნის ეკონომიკა (ბიუჯეტზე, რომ არაფერი ვთქვათ) დღემდე ვერ გასწორებულა წელში... „ჩემი შენ გითხარიო და გული მოგიკალიო“ – მათზეა ნათქვამი.

ადამიანური და ობიექტური იყო მარიამ ჯაშის პოზიცია შავი ზღვის უნივერსიტეტის მიმართ... სექტემბერი, როდესაც სტუდენტები სწავლას იწყებენ და რაღაც ახლის და კარგის მოლოდინში არიან ის დროა, რომ უმაღლეს სასწავლებელში შევარდე და იქაურობა ააწიოკო?!... სად იყვნენ მანამდე?!. ნაცვლად იმისა, რომ სტუდენტებმა ისწავლონ და მათი საქმე აკეთონ, აქციებზე უნდა ირბინონ და თავისი უფლებების დასაცავად დღე და ღამე ათენონ „ავტორიზაციის“ მძიმე და ურდულ დადებულ კართან?!. თუ ე.წ. „ავტორიზაციის“ კლანს, არც კარგი, არც ავი, არც დრო და არც სივრცე არანაირად არ ეხებოდა?!. მოკლედ, რომ ვთქვათ, რაც „მოეპრიანებოდათ“ იმას აკეთებდნენ, ისინი იყვნენ „ძლიერნი, განათლებისა სისტემისა, ამა ქვეყნისანი“...

საკანონმდებლო, აღმასრულებელი, თუ ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებელი პირი, თუ თავის კანონიერ და ადამიანურ ვალდებულებას შეასრულებს, აუცილებლად კორუფციას უნდა ჰქონდეს ადგილი?!. ე.წ. „ავტორიზაციის“ კლანი და მათი მხარდამჭერი პოლიტიკანები ასე თვლიან?!. და თუ ეს ასეა, წარმოიდგინეთ მათი სახით, რა კლანთან და მართლაც მონსტრებთან გვქონია საქმე?!. ისევ უახლეს პრესას მოვიშველიებ „რას შეცვლის კადრების შეცვლა, თუკი სისტემა არ შეიცვლება?-სისტემა ადამიანებმა უნდა შეცვალონ და არასდროს არაფერი არ შეიცვლება მანამ, სანამ ეს გათავისუფლებული ხალხი არ დაისჯება და არ გაჩნდება მოსაზრება, რომ განათლების სისტემაში ჩადენილი უმსგავსობისთვის, ადამიანები პასუხს აგებენ. ამ ადამიანების სამსახურიდან გაშვება ძალიან დიდი შვეაა... მათ დახარკეს უნივერსიტეტები და რაღაც უსაგნო ცნობარში მოსახვედრად ითხოვდნენ ფულს... თავისი კვალიფიკაციით, განათლების სისტემაში, სრულიად შეუფერებელი თანამდებობები ეკავათ“ და ა.შ... გარე ოკუპაციაზე ვჩივივართ და ვტირივართ და თქვენ წარმოიდგინეთ რა შიდა ოკუპანტებთან გვაქვს საქმე, მითუმეტეს ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორიც განათლების სისტემაა...

დღევანდელი დღის ჩათვლით, ვისაც განათლების სისტემა (განსაკუთრებით „ავტორიზაციის“ კლანის მხრიდან) ავად თუ კარგად შეეხო, ყველამ კარგად იცის, მომჩივანთა როგორი რიგი დგას, პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის კარზე... რა უნდა ქნას კომიტეტის თავმჯდომარემ?!. არ უნდა მოუსმინოს მათ?!. არ უნდა გაერკვეს მათ პრობლემებში?! არ უნდა გამოიყენოს (21-ე საუკუნეში) კომუნიკაციის ისეთი საშუალება, რასაც ტელეფონი ჰქვია?! არ უნდა გამოთქვას მისი მოსაზრება?! არ უნდა მისცეს რჩევა, რეკომენდაცია და ა.შ... იმ სუბიექტებს, რომელთა მიზეზითაც, კომიტეტის კარზე, მომჩივანი ადამიანების რიგი დადგა?!. ეს ხომ მისი (კომიტეტის თავმჯდომარის) უშუალო, პირდაპირი და ადამიანური მოვალეობაა?! რისთვის ვირჩევთ საკანონმდებლო ორგანოს?!. რაში გვჭირდება დეპუტატები, თუ ისინი ჩვენს უფლებებს არ დაიცავენ? ჩვენს სამსახურში არ ჩადგებიან და ჩვენს ტკივილს (თუნდაც ადამიანურად) არ გაიზიარებენ?!. დიახ, ხმა უნდა მივცეთ იმას, ვინც თავის მოვალეობას ასრულებს და ვინც ჩვენს ხმას შეისმენს!... თუ დიდი კლასიკოსის თქმისა არ იყოს „ზნეობა დავკარგეთ“?!. კარგი იქნებოდა (მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში, ეს ასე არ არის) არა მხოლოდ ქალბატონმა მარიამმა, არამედ ყველა დეპუტატმა, ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობის დასაცავად, არა მხოლოდ ტელეფონი, არამედ ყველა თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები გამოიყენოს და ჩვენს (მათი ამომრჩევლების) სამსახურში ჩადგნენ...

სამწუხაროდ, საინფორმაციო საშუალებები, უმეტესად ნეგატიური ინფორმაციების გაშუქებით იმდენად არიან დაკავებული, რომ მათდა უნებურად გამორჩათ ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია (მხოლოდ საზოგადოებრივმა არხმა გვაჩვენა მცირე მონაკვეთი), რომელიც სულ ახლახან (გასულ კვირაში) გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა... სადაც მარიამ ჯაშს წარმატებული და მნიშვნელოვანი გამოსვლა ჰქონდა, საფრანგეთის და საქართველოს ეროვნული ინოვაციური დაფინანსების პროგნოზირებად პლატფორმაზე... გაეროს გადაწყვეტილებით, ამ მნიშვნელოვან ინოვაციაში, სამდივნო ქვეყნად, საქართველო იქნა დასახელებული... ხოლო გაეროს ეგიდით, სამდივნოს პრეზიდენტად მარიამ ჯაში იქნა არჩეული!... ნებისმიერი ქვეყნის ყველა საინფორმაციო საშუალებები, სიამაყით მიაწვდიდა ამ ინფორმაციას მის ერს, მის ქვეყანას...

ირმა კეკელიძე
მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

როცა ქვეყანაში ცოტაა მდიდარი და ბევრია ღარიბი, ღარიბები მდიდრების შეჭმაზე იწყებენ ფიქრს

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

— ბატონო ვაჟა, „ეროვნულმა ბანკმა“ კომერციული ბანკებისთვის, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებისთვის, მოსახლეობაში ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით, ახალი რეგულაციები შემოიღო. რა საფრთხეებზე შეგვიძლია ვისაუბროთ ამ შემთხვევაში?

— უწინარეს ყოვლისა, არავის უნდა დაავიწყდეს, რომ მთავარი ამოცანა მოსახლეობის კეთილდღეობაა. ჩვენი ეკონომიკის არცთუ სახარბიელო მდგომარეობიდან გამომდინარე, ხალხის დასაქმების პრობლემა სერიოზულია. ამიტომ, მოქალაქეები იძულებულნი არიან სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან სესხები აიღონ და ასეთ ვითარებაში, ისინი, ხშირად, არ ითვალისწინებენ საკუთარ გადახდისუნარიანობას. შედეგად, რთულდება პრობლემა, რასაც ჭარბვალიანობა ჰქვია. ამდენად, მთავრობა, „ეროვნული ბანკი“ იძულებულნი გახდნენ, ამ მიმართულებით, რეგულაციები შემოეღოთ. ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს რეგულაციები საჭირო და აუცილებელია იმდენად რამდენადაც მოსახლეობას მომავალში პრობლემებისგან აზღვევს. მაგალითად, როგორ

ხდება ახლა? — ხალხს ბანკში ჩადებული აქვს უძრავი ქონება — საცხოვრებელი ბინები, ვალებს ვეღარ იხდიან და სახლის დაკარგვა ემუქრებათ. პროცესი რომელიც მიდის — სესხების გაპრობლემურება, რასაც თან შესაბამისი საფინანსო, სამართლებრივი პროცედურები ახლავს, მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს. ერთი მხრივ, ეს რეგულაციები, ამ თვალსაზრისით, კარგი საშუალებაა შემდგომი პაუპერიზაციის — მოსახლეობის გაღატაკების თავიდან ასარიდებლად. მეორე მხრივ, ამ პრობლემას კრიტიკულად უნდა შევხედო თ. კერძოდ, მთავრობა და ახალი პრემიერი მამუკა ბახტაძე ისე წარმოაჩენენ, თითქოს, ჭარბვალიანობა სიღარიბის სერიოზული განმაპირობებელი და ფაქტორია. თუმცა, მე, არ დავეთანხმებოდი ასე ცალსახად პრობლემის გაშიფვრას. რეალურად, ჭარბვალიანობა კი არ არის სიღარიბის წარმომშობი, არამედ სიღარიბე არის ჭარბვალიანობის განმაპირობებელი. აქედან გამომდინარე, ჩვენ სხვაგვარად ვებრძვით — შედეგს და არა მიზეზს. ზოგჯერ, საარსებო პრობლემების გადასაჭრელად მოქალაქემ თუნდაც, დროებით, პრობლემის მოსაგვარებლად, საფინანსო ორგანიზაციას უნდა მიმართოს. ამ დროს, თუ მას აღარ ექნება საშუალება, რომ მომავლის იმედით პრობლემა დროებით მაინც მოიგვაროს, მაშინ იგი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, წინა პლანზე წამოიწევს სიღატაკის პრობლემა და შრომისუნარიანი მოსახლეობა ქვეყნიდან რუსეთში, ევროპაში, თურქეთში გაიხიზნება როგორც ეს დღემდე ხდება და დეპოპულაციის პროცესი ანუ, შრომისუნარიანი მოსახლეობის ქვეყნიდან დაცლა კიდევ უფრო გაღრმავდება. საბოლოო ჯამში, ამას შედეგად ქვეყნის და სოციალური პრობლემების კიდევ უფრო მეტად დაბერება მოყვება. ქვეყანაში დარჩებიან მოხუცები და ბავშვები როგორც 90-იან წლებში რაჭის სოფლებში გვქონდა. იქ, ეს ვითარება დღემდე შენარჩუნებულია. ამიტომ, ჭარბვალიანობის თემა და რეგულაციები უნდა განვიხილოთ როგორც საფინანსო-ეკონომიკური პრობლემა და ამასთანავე, ქვეყნის სოციალური სატკივარი.

— ამ რეგულაციების შედეგად, აშკარაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საბანკო მომსახურებით ვერ ისარგებლებს, ვერ აიღებს სესხს და იძულებული გახდება მევახშეს მიმართოს. დროთა განმავლობაში, შეიძლება, მევახშეს თანხა ვეღარ გადაუხადოს და სახეზე კრიმინალური სამყაროს რეანიმაცია მივიღოთ როგორც ეს 90-იან წლებში იყო.

— ცხადია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეღარ ისარგებლებს საბანკო მომსახურებით. ეს გასაგებია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ იმ მოტივით, რომ ვთქვათ, მევახშეობა უფრო მასობრივი გახდება, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ პრობლემაზე და მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებს საშუალება მივცეთ მოსახლეობა ძარცვოს და შედეგად, სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდეს.

— მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია გაგვძარცვავს თუ მევახშე?

— ეს კომპლექსური თემაა და მასშტაბური ხედვიდან გამომდინარე, ცალსახად, მოგვარებული უნდა იყოს. რაც შეეხება მევახშეობას, ამასაც, ასევე, კანონი არეგულირებს. მევახშეობაც აბსოლუტურად ლეგალური უნდა გახდეს, ანუ, ცალკეული პირების მიერ ფულის გასესხება კანონს უნდა დაექვემდებაროს. თუ ადამიანები მაინც გააგრძელებენ დაურეგისტრირებლად, არალეგალურად სესხების მიცემას და მოქალაქეების დაკაბალებას, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მევახშეს, ისე მოქალაქეს, რომლებიც არალეგალურ, არასამართლებრივ ურთიერთობაში შედიან ერთმანეთთან. ამიტომ, აქ გამოსავალი ისევ და ისევ კანონის და კონტროლის გამკაცრებაა, რათა სხვა ნეგატიურ მოვლენას ვთქვათ, მევახშეობის მიმართულებით აქცენტის გადატანას, ადგილი არ ჰქონდეს.

— მოქალაქეს ვინც ვეღარც ბანკიდან აიღებს სესხს და ვერც მევახშეს მიმართვას, რა გზა რჩება?

— თუ შრომისუნარიანია საზღვარგარეთ ემიგრაცია და იქ სამუშაოს ძებნა. შრომისუუნარო მოსახლეობის მდგომარეობა კი, ვისაც ქვეყნიდან თავის გადასარჩენად გასვლა არ შეეძლება, კიდევ უფრო დამძიმდება. ცალსახად შემიძლია ვთქვა: ადამიანმა სესხი აიღოს იმ შემთხვევაში, როდესაც არ აქვს შესაბამისი შემოსავლები, რითაც ამ სესხს მოემსახურება, გამოსავალი არ არის.

— თქვენ, თქვით: ხალხი ქვეყნიდან გაიქცევაო. ხომ არ დადგა დრო, ხელისუფლებამ იმოქმედოს იმ მიმართულებით, რომ განვითარდეს ადგილობრივი ეკონომიკა?

— მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგული ორგანიზაციების მონაცემებით საქართველო საკმაოდ მაღალ პოზიციას იკავებს ბიზნესის კეთების სიიოლით და ბიზნესგარემოს მდგომარეობით, ეს არსებულ რეალობას სრულად არ ასახავს. თუმცა, გარკვეულწილად, სწორი ტენდენციის მანიშნებელია. ეს აქცენტები უფრო მეტად უნდა დაისვას. აქვე ვიტყვი, რომ ამ ყველაფრის გაკეთება იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაშია ჩვენს დიდ მეზობელთან — რუსეთთან, ადვილი არ არის. არასახარბიელო ეკონომიკური ფონია თავად რუსეთში, თურქეთში, სხვა მეზობელ ქვეყნებში. ისევ და ისევ გაბედული ნაბიჯები, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, ბევრი მიმართულებით, საშუალებას მოგვცემს ახალი სამუშაო ადგილები შევქმნა თ. სხვა შემთხვევაში, ჩვენ, გამოსავალი არ გვაქვს იმიტომ, რომ დასავლური ბიზნესი აღმოსავლეთისკენ ხალისით არ მოდის, ხოლო რუსული კაპიტალის აქტივობას ქვეყანაში, ჩვენი დასავლეთელი, სტრატეგიული პარტნიორები არ მიესალმებიან.

— რამდენად არის პრობლემატური საკითხი: ქვეყანაში არ არსებობს საშუალო ფენა, ღარიბ და მდიდარ ფენებს შუა დიდი უფსკრულია. ეს ეკონომიკის განვითარებას ხელს არ უშლის?

— ამ სიტუაციის შეცვლა ძალიან ძნელი იქნება, რადგან ის, რომ ჩვენ, გვყავს ცოტა მდიდარი და ბევრი ღარიბი, შუა ფენა კი არ არსებობს, ესეც არსებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ყველა ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური ზრდა დამაიმედებელია, ეს წინსვლა საშუალო ბიზნესის ხარჯზე ხდება. ჩვენთან, როცა ინვესტიციები მოცულობით საკმარისი არ არის, რეგიონში ვითარება საკმაოდ მძიმეა თუნდაც, საბაზრო ეკონომიკის საკმაოდ სერიოზული ხარვეზების შემცველი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან ძნელი იქნება, სოციალური ნარჩენების სტრუქტურა, რაც დღეს გვაქვს, მოკლე ხანში შეიცვალოს. ცოტა მდიდარი ადამიანი რომ გვყავს და ტრანსფორმაციული პერიოდის ეკონომიკა საშუალებას აძლევს ცალკეულ პირებს, ხშირად, უკანონოდაც გამდიდრდნენ, ეს მათი ბრალი არ არის, რადგან ბიზნესი კეთდება ისე როგორც კეთდება. რა თქმა უნდა, ბიზნესი ლეგალურ ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ პროცესის რეგულირება გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფერხდება. მაგრამ ჩვენ, ამის გამო, სიღარიბის ფილოსოფიით არ უნდა ვიცხოვროთ. რაც უფრო მეტი მდიდარი იქნება, რაც უფრო მეტი ადამიანი არ დამალავს თავის ქონებას, ანუ, არ გადამალავს საკუთარ მოგებას და ფინანსებს ოფშორებში, საიდანაც მერე, ხშირად, შემოდის როგორც ინვესტიცია, ქვეყნისთვის უკეთესი იქნება. რადგან ასეთ ვითარებაში ადამიანები მდიდრდებიან, საზღვარგარეთ მიდიან და იქ, აკეთებენ ბიზნესს, სადაც უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. ჩვენი მასის ფსიქოლოგია, რომელსაც მდიდრები სძულს, ზოგჯერ, ქვეყანას დათვურ სამსახურს უწევს. ამიტომ, ჩვენ, ყველანაირად უნდა წავახალისოთ საშუალო და მცირე ბიზნესი, რათა უფრო მეტი ადამიანი დასაქმდეს. თუმცა, ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, ხელშესახები ცოტაა. ისევ და ისევ, ტურიზმის იმედად ვართ. თავისთავად, ეს ძალიან კარგია, მაგრამ როდესაც საქართველოში ტურისტი ჩამოდის და მიირთმევს თურქულ ბოსტნეულს, სომხურ ხილს, აზერბაიჯანულ ნაწარმს და ა.შ. ჩვენ, მხოლოდ მომსახურების სფერო გვრჩება, რაზეც წარმოება მიბმული ვერ არის. ჯერჯერობით, არ ხერხდება რომ იგივე, სოფლის მეურნეობის პროდუქცია — კიტრი, პომიდორი, კარტოფილი და სხვა ჩვენთან იწარმოებოდეს და ადამიანებს ასაქმებდეს. ასე, რომ ეს პრობლემებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ვიდრე ეს ყველაფერი ეკონომიკური რეფორმების ჭრილში არ იქნება განხილული, ვითარების გაუმჯობესებას არ უნდა ველოდოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ცავატანემ, ზაზაჯან, შენ სინდისი ვაბშემ ჩუნეს?

წინა კვირას, „რუსთავი-2“-ზე კვესიტაძე-გვარამიას მორიგი „შედევრი“ ვიხილეთ, რასაც ზაზა ოქუაშვილის ინტერვიუ ერქვა. მსგავსი „საცოდაობა“ ჯერ არ მინახავს, ხსენებულმა დუეტმა ამჯერად საკუთარ თავსაც აჯობა. რაც შეეხება ლონდონიდან ჩართულ რესპონდენტს, მის გამოსვლებს „იბერიის“ ეთერში იმ პერიოდში ვუყურებდი, როცა ნაციონალები აქტიურად ემზადებოდნენ ოქუაშვილის „გასაკულაკებლად“. სიმართლე გითხრათ, არც მაშინ ვყოფილვარ ამ „დიდი“ ბიზნესმენის გონებამახვილობა-მჭევრმეტყველებით აღფრთოვანებული, მაგრამ „აქცენტებში“ საერთოდ, „რეკორდი“ მოხსნა. მეორე დილას, ეზოში ჩემუბნელი, როგორც თვითონ ამბობს, „კარენოი“ ქალაქელი ედიკა შემომეყარა და მეუბნება, მანანაჯან, ამ ზაზას საერთოდ არა სცხვენია? წუხელ ვუსმინე, ეს რეებს ბოდიალობდა ტო. ჟურნალისტი ხო ხარ, ერთი ჰკითხე რა, ზაზაჯან, ცავატანემ, შენ ნამუსი სავსემ ჩუნეს-თქო? ედიკა კარგად იყოს, ჩვენ კი გავიხსენოთ, ვინ არის ზაზა ოქუაშვილი, რომელიც თავისი ბოლო ინტერვიუთი საქართველოს „მხსნელად“ მოგვევლინა, თურმე მან უნდა დაიცვას დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება და რაც მთავარია, ალ კაპონეებისგან უნდა გაათავისუფლოს ქვეყანა. მე აუცილებლად ჩამოვალო, ბრძანა ზაზა-„მესიამ“, არ ჩამოხვიდე, რამე არ მოგწიონო, „შეშფოთდა“ გვარამია, მაგრამ ვერ დაიყოლია. არა, მე აუცილებლად უნდა ჩამოვიდე, ეს რეჟიმი უნდა დავამთავროთო, გაჯიუტდა ზაზა.

ვფიქრობთ, ზაზა ოქუაშვილს შემთხვევით არ გასჩენია ამბიცია, გმირობასა და ქვეყნის მხსნელობაზე, ეტყობა გარკვეულმა ძალებმა დაარწმუნეს, 28 ოქტომბერს ყოველგვარი ეჭვის გარეშე ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე გაიმარჯვებს და შენც უნდა შეიტანო „წვლილი“ ამ ამბავშიო. ეჭვი მაქვს, „მარწმუნებლები“ მარტო ნაციონალები არ არიან, სხვა წონიანი ფიგურებიც დაიხმარეს, ნაცებს ხომ ეხერხებათ ასეთი რამეები. იმასაც ვეჭვობ, რომ ეს „ფიგურები“ ქართველები არ არიან, ბატონი გრიგოლის წარსულს თუ გავიხსენებთ, დიდი ალბათობით რუსები იქნებოდნენ, რომლებმაც ოქუაშვილს „უტყუარი“ ინფორმაცია მიაწოდეს, „ზემოთ“ ყველაფერი გადაწყვეტილია, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება უკვე დამთავრებულია და 28 ოქტომბერს ვაშაძის „გამარჯვებას“ ვიზეიმებთო. თანაც პირობა მიუციათ, რომ გამარჯვებისთანავე, მის კომპანიებს ყველა ვალს ჩამოაწერდნენ, შეუქმნიდნენ უაღრესად კომფორტულ პირობებს, მისი ბიზნესი კიდევ უფრო „გაიფურჩქნებოდა“ და თავად ზაზას პრემიერ-მინისტრად თუ არა, მინისტრად მაინც დანიშნავდნენ. მის ინტერვიუს ყურადღებით და ობიექტური შემფასებლის თვალით თუ დააკვირდებოთ, აშკარად ჩანდა, რომ ეს კაცი, როგორც თავად კოლექტიური ნაციონალების უმეტესობა, რაღაც თავის გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს. ნაცებს, როგორც ჩანს კარგად ჰქონდათ შესწავლილი მისი პიროვნული თვისებები და არ გაუჭირდებოდათ დაერწმუნებინათ, რომ გმირია, ქვეყანას უნდა უშველოს, სხვა გამოსავალი არ არის, მათი კარნახით უნდა იმოქმედოს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მარტივ ენაზე რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანს, რომელიც კუდის რიკამდე გაატყავეს ნაციონალებმა, დევნილად აქციეს, ახლა მათ სიყვარულს ეფიცება, ხოლო იმ ხალხს ლანძღავს, ვინც წართმეული დაუბრუნა და ბიზნესის გაგრძელების საშუალება მისცა?! ამის გარკვევაში ზაზა ოქუაშვილის ბიზნეს-წარსული დაგვეხმარება.

არ მკითხოთ, როგორ ვიშოვე პირველი მილიონი

ზაზა ოქუაშვილს შეიძლება „დაავიწყდა“, მაგრამ ბევრს ახსოვს როგორ დაიწყო მისი „ბიზნეს-მოღვაწეობა“. იყო დრო, ეს ბატონი სიგარეტებით სავსე ცელოფანის პარკებით რომ დარბოდა საბურთალოზე და სავაჭრო ჯიხურებს აბარებდა. როგორც ამბობენ, დამწყები ბიზნესმენის „სამოქმედო არეალი“, მიცკევიჩის ქუჩა იყო, სადაც დევნილობამდე ცხოვრობდა ედუარდ შევარდნაძის მიერ ჯერ უშიშროების მინისტრად დანიშნული და შემდეგ №1 ტერორისტად გამოცხადებული იგორ გიორგაძე. სწორედ მან გაუკვალა გზა ოქუაშვილს დიდი ბიზნესისკენო. სხვათა შორის, იგორ გიორგაძე არც მალავდა, რომ მისი უწყება სიგარეტის კონტრაბანდით იყო დაკავებული, რა ვქნა, სახელმწიფო ხაზინა ცარიელია, ჩემს თანამშრომლებს მშიერს ხომ ვერ დავტოვებო. ცხადია, მინისტრი გიორგაძე მარტო ვერ შეძლებდა „ბიზნესის“ გაძღოლას და ოქუაშვილის სახით, საქმეში „სანდო“ და „გამოცდილი“ კაცი ჩართო. ამ ქართველ „ბიზნესმენებს“ კავშირი ჰქონდათ ამერიკულ კომპანია „ფილიპ-მორისის“, მოსკოვში მდებარე რეგიონალურ ოფისთან, რომელიც თითქმის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავდა. სწორედ იგორ გიორგაძეს შეუთავაზებია ამ ოფისისთვის, რომ საქართველოში თავიანთ წარმომადგენლად ზაზა ოქუაშვილი დაენიშნათ. ასევე, გიორგაძემ დააკავშირა ოქუაშვილი ასლან აბაშიძეს და ერთობლივი დიდი ბიზნესიააწყობინაო. ოქუაშვილის კომპანიის დასახელებაც („ომეგა“), ალბათ უშიშროების სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობებიდან მოდის, თავის დროზე, სწორედ იგორ გიორგაძემ ჩამოაყალიბა სპეცდანიშნულების რაზმები სახელწოდებით „ალფა“ და „ომეგა“. კომპეტენტური წყაროს ცნობით, გიორგაძის ხალხი იყო ამ აწ უკვე საერთო ბიზნესის კონკურენტებს რომ დაერეოდნენ ხოლმე, ავტომატებით უსაფრდებოდნენ და აყაჩაღებდნენ, იყო საგადასახადო სტრუქტურებში ჩივილი თუ მივარდნები. ოქუაშვილი იგორ გიორგაძის მფარველობით „გულაობდა“, ის თავადაც მონაწილეობდა კონკურენტების დარეკეტებაშიო. გიორგაძე კი გააქციეს საქართველოდან, მაგრამ ოქუაშვილის ბიზნესს პრობლემა არ შექმნია, წარმატებით აგრძელებდა თავის საქმეს. ეს არც არის გასაკვირი, გიორგაძე რუსეთს „შეეხიზნა“, ასე რომ, არ გაუჭირდებოდა ოქუაშვილის დახმარებოდა, ხოლო ასლან აბაშიძე კვლავ აჭარის ერთპიროვნული მმართველი და ბუნებრივია, არავის დააჩაგვრინებდა ბიზნესპარტნიორს. ბოლო ხანს, ერთ-ერთმა ფეისბუქელმა ზაზა ოქუაშვილს წარსული შეახსენა, ცოლ-ქმარი რომ ამბობთ, ნაციონალების დროს სამართალს მივაღწიეთ, ნაციონალებმა მართალია, ზარალი მოგვაყენეს, მაგრამ რესტრუქტურიზაცია გაკეთდა და აქედან გამომდინარე, როგორ შევადაროთ ერთმანეთს ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“, ეს უკანასკნელი უარესიაო. შეგახსენებთ, „შავბნელ“ 90-იან წლებში როგორ იშოვეთ პირველი მილიონი. გვახსოვს, „ომეგასა“ და თამაზ ელიზბარაშვილის „ელიზის“ თანაცხოვრების პერიოდი, ამ ორ კომპანიას რომ გქონდათ მონოპოლიზებული სიგარეტის ბიზნესი. მოკლე ხანში, ერთმანეთს დაუპირისპირდით, როდესაც „ომეგა“ და „ელიზი“ ერთი გუნდი აღარ იყავით, ბაზრის გადანაწილების გამო, სისხლიანი გარჩევები დაიწყეთ, რაც თქვენი კომპანიის გამარჯვებით დასრულდა. მაშინდელ სს-ის საქმეებს რომ გადავხედოთ, უამრავია „ომეგას“ მფლობელების წინააღმდეგ აღძრული საქმეები, რომლებიც ბურუსით იყო მოცული და მალევე გარკვეველ ვითარებაში იფარცხებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ ოქუაშვილმა მფარველად ასლან აბაშიძე გაიჩინა და მისი ბიზნესიც ხელშეუხებელი გახდაო. ერთი სიტყვით, ზაზა ოქუაშვილი შევარდნაძის მმართველობის დასრულებამდე მშვენივრად გრძნობდა თავს, მის ბიზნესს სასათბურე პირობები ჰქონდა შექმნილი და ყვაოდა. სანდო წყაროს ცნობით, სწორედ იმ დროს იშოვა ზაზა-ბატონმა ძალიან დიდი ფული. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „ფილიპ მორისის“ რუსეთის რეგიონალური ოფისი ანგარიშს უწევდა რუსულ პოლიტიკურ ინტერესებს, აქედან გამომდინარე, სიგარეტის ბიზნესი ძალზე სერიოზული ბერკეტი იყო რუსეთისთვის, კავკასიის რეგიონში პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. ასე რომ, ზაზა ოქუაშვილი თავის ახალ „პატრონებთან“ ერთად ვინმესკენ ხელს გაიშვერს, რუსეთის ინტერესების გამტარებელია, ჯერ თავის ბიოგრაფიას გადახედოს. მისი სრული „პორტრეტისთვის“ უფრო დეტალურად უნდა გავიხსენოთ „ელიზის“ დაყაჩაღების ამბავი, რომელზეც ლამის მთელი საქართველო ლაპარაკობდა და მთავარ ფიგურანტად, სწორედ „ომეგას“ მესვეურებს თვლიდა. ეს სისხლიანი ანგარიშსწორება კინაღამ ფატალური შედეგით დამთავრდა. როგორც ამბობდნენ, ავტომატის კონდახებით დაუმტვრიეს „ელიზის“ თანამშრომლებს ცხვირპირი და პროდუქციაც წაართვეს. იმავე პერიოდში სასტიკად გაუსწორდნენ თავად თამაზ ელიზბარაშვილსაც, რამდენადაც მახსოვს, ის გისოსებს მიღმაც გამოამწყვდიეს. აი, ეს კაცია ოქუაშვილი თავისი „უმწიკვლო“ წარსულით, რომელიც დღეს „მაღალ მატერიებზე“ გვესაუბრება, ამ წარსულის მქონე კაცი, სახელმწიფო ინტერესების დამცველად და ქვეყნის მხსნელად წარმოგვიჩენს თავს.

მელას თავისი მახრჩობელა მართლა უყვარს?!

სანამ იმაზე ვისაუბრებდეთ, სად და როგორ მოხდ ზაზა ოქუაშვილისა და ნაციონალების „დაძმობილება“, გავიხსენოთ, როგორ „გააკულაკეს“ ოქუაშვილი „ვარდოსნებმა“ და „ყარიბადაც“ აქციეს. მიხეილ სააკაშვილმა რა თქმა უნდა, კარგად იცოდა სინამდვილეში ვისი იყო ის რუსების მიერ „დაკრიშული“ ბიზნესი, რომელსაც ოქუაშვილის ბიზნესს ეძახდნენ. გასაკვირიც იქნებოდა, არ სცოდნოდა სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „კაგებეს“ გენერლის დისშვილსა და თავადაც „კაგებეს“ ჯარში ნამსახურებ კაცს. სააკაშვილს კატეგორიულად მოუთხოვია „ფილიპ-მორისის“ ხელმძღვანელობისთვის, ოქუაშვილი მოაშორეთ, სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვის, დავით კეზერაშვილი დავნიშნოთ საქართველოში თქვენს წარმომადგენლადო. მათ უარი უთქვამთ, ოქუაშვილთან ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, ეს რომ გავაკეთოთ, ძალიან სერიოზულ ჯარიმას „ავიკიდებთო“. ამ „პაექრობაში“ უკრაინის მხარეც ჩაერთო, რომელთანაც სააკაშვილს მაშინ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. უკრაინელები „ფილიპ მორისის“ ხელმძღვანელობას დამუქრებიან, თუ ოქუაშვილის ადგილზე კეზერაშვილს არ დანიშნავთ, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ, თქვენ პროდუქციას უკრაინაში არ გავასაღებთო. „ფილიპ მორისი“ მაინც უარზე იყო, ძალიან დიდი ჯარიმის გადახდა მომიწევსო, ბოლო ჯამში ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ოქუაშვილს სააკაშვილმა და მისმა ბანდამ „ფილიპ მორისის“ ნაცვლად გადაუხადა 70 მილიონი დოლარი, ოქუაშვილი მეტს ითხოვდა, მაგრამ ეს თანხა მისცესო. ჩვენი წყარო დაზუსტებით ვერ ამბობს, ზუსტად როდის მოხდა ეს „აღებმიცემობა“, სავარაუდოდ ოქუაშვილისთვის ბიზნესის „ახევამდე“ მოხდა. მან ეს ფული აიღო, მაგრამ ჩვეული მეთოდი გამოიყენა (რასაც ახლა აკეთებს) სცადა ბიზნესის შენარჩუნება და სასამართლოში უჩივლა „ფილიპ მორისს“, ამიტომაც დასცხო სააკაშვილმა და თავიდან ბოლომდე გაანადგურაო. მოგეხსენებათ, ოქუაშვილი საქართველოდან გაიქცა, მის მთელ ქონებას ნაცმოძრაობა დაეპატრონა, ეს ყველაფერი დავით კეზერაშვილმა გადაიბარა. ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, ოქუაშვილს „ემიგრანტობის“ პერიოდშიც გაუგრძელებია საქართველოში „მოღვაწეობა“. ნაცხელისუფლების მაშინდელმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ოქრუაშვილმა მას დიდძალი

თანხის „ქეშად“ გადახდის სანაცვლოდ, მუშაობის უფლება მისცა, მაგრამ რამდენჯერმე კვლავ გახდა ნაცჩინოვნიკების რეკეტის მსხვერპლი, ოღონდ ამჯერად ხმა არ ამოუღია. ოქუაშვილ-ჩხეიძის წყვილი ახლა ათას სისულელეს რომ ლაპარაკობს, იქნებ გვითხრან რატომ „აახია“ ერეკლე კოდუამ „ბმვ“-ს მარკის ავტონქანები 40.000 ევროსთან ერთად, როგორ გაეხვივნენ სკანდალში და ჩაფარცხეს დამტვრეული ავტომანქანების საქმეო. ოქუაშვილის კომპანიას, გადაზიდვის დროს დაზიანებული რამდენიმე ავტომანქანა შეუკეთებია და კონვეიერიდან ახლად ჩამოსულის ფასში გაუყიდია. „ომეგას“ ერთ-ერთი მენეჯერი თაღლითობის ბრალდებით ყოფილა დაკავებული. ზაზა ოქუაშვილს აქტიური კომუნიკაცია ჰქონია „ქვეყნისხერხემალ“ მერაბიშვილთან, „პაბეგში“ მყოფი ოქუაშვილი საქართველოში ყველა ჩამოსვლაზე დღიურად დაწესებულ თანხას (50.000 აშშ დოლარი) იხდიდა, ოქუაშვილს სამშობლოში ერთკვირიანი „ვიზიტი“ 350.000 დოლარი უჯდებოდა, ფულს თუ არ გადაიხდიდა, არ შემოუშვებდნენო. აქვე ერთი ძალზე საგულისხმო დეტალი, როგორც ანონიმი ფეისბუქმომხმარებელი წერს,

PHILIP MORRIS GEORGIA

ის პიროვნება, რომელიც თიბისი ბანკში გადაღებულ ფოტოზე ჩანს, ზაზა ოქუაშვილის თანამშრომელია, რომელიც დამტვრეული ავტომანქანების რეალიზაციასთან დაკავშირებით, თაღლითობის ბრალდებით იქნა გასამართლებული.

ახლა, რაც შეეხება სააკაშვილ-ოქუაშვილის „ჩახუტებას“. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2017 წლის დასაწყისში, სავარაუდოდ იანვრის თვეში, ზაზა ოქუაშვილი ევროპაში ხვდება „რუსთავი-2“-ის წარმომადგენლებს, ოღონდ არა გვარამიას და სხვა წვრილფეხობას, არამედ ტელეკომპანიის ე.წ. მეპატრონეების ნდობით აღჭურვილ პირებს და სწორედ მაშინ იგეგმება ის „აბსურდის თეატრი“, რასაც დღეს ვუყურებთ. როგორ აღმოჩნდა ოქუაშვილი სააკაშვილთან, რომელმაც ფაქტობრივად ყველაფერი წაართვა და დევნილადაც აქცია. ერთია, თვითონ ზაზა ოქუაშვილის მორალურ-ზნეობრივი თვისებები, რაც ემატება „ბიზნესინტერესი“ და შურისძიება. მოგეხსენებათ, სააკაშვილსა და კეზერაშვილს შორის კაი ხნის წინ გაირბინა „შავმა კატამ“, ეს უკანასკნელი ნაცმოძრაობას აღარ აფინანსებდა, მაგრამ „ეჭვმიტანილი“ იქნა, რომ აფინანსებდა „ევროპულ საქართველოს“. ისე, დღეს ამას დამფინანსებელ-დაფინანსებულები აღარ მალავენ. ოქუაშვილმა ამ შემთხვევით ისარგებლა, მართალია, ორივე კეზერაშვილიც და სააკაშვილიც მისი მტრები იყვნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი და სააკაშვილის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, ერთმანეთს ჭირდებოდნენ და მოხდა კიდეც მათი „ჩაბრატება“. ოქუაშვილი ხვდება „რუსთავი-2“-ის მესვეურებს და სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით იწერება სცენარი, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ოქუაშვილს დაევალა ყველაფერი ჩაეწერა, მერე აქედან სხვა მასალას შევქმნით, ოღონდ ეს საპრეზიდენტო არჩევნების დასაწყისამდე დღის სინათლეს ვერ იხილავს, ერთი თვით ადრე გამოქვეყნდებაო.

ოქუაშვილი და კოლექტიური ნაცები ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ დაპირებებზე რომ ქირქილებენ, თუ ამნეზია დაემართათ, ჩვენ გავახსენებთ, ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის რანგში რომ შეხვდა სააკაშვილის რეჟიმის დროს დატერორებულ ბიზნესმენებს და მათ სამართლებრივი თუ ეკონომიკური დახმარება გაუწია. მან უამრავი კომპანიას გამოუყო ფინანსები საკუთარი თანაინვესტირების ფონდიდან, მუშაობა რომ გაეგრძელებინათ, აქედან გამომდინარე ბატონმა ბიძინამ ათასობით ადამიანი იხსნა უმუშევრობისგან. ის „პატივცემულ“ ოქუაშვილსაც შეხვდა, რასაც არც ეს უკანასკნელი არ უარყოფს, ოქუაშვილი თურმე თავზე ნაცარს იყრიდა, ბიზნესმენი კაცი, პოლიტიკაში არ უნდა ჩავრეულიყავი, არც მედიასაშუალება უნდა მქონოდა, რადგან ამის გამო გავხდი დევნის ობიექტიო. ეს ახალი მოდის „ძე-შეცთომილი“ თურმე ყველაფერს იფიცებდა, მსგავს შეცდომებს აღარ გავიმეორებო და იხვეწებოდა ბიზნესის წარმოებაში დამეხმარეთო. სარწმუნო წყაროს ცნობით, ბატონმა ბიძინამ მას პირობა მისცა, რომ არაფერი ემუქრებოდა, თუ რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, ნებისმიერ დროს შეხვდებოდა და დაეხმარებოდა. ამ საუბრის შემდეგ, საგადასახადო სამსახური შევიდა ოქუაშვილის კომპანიაში, აღიწერა წარმოება, ყველაფერი გასწორდა, ფინანსთა სამინისტრომ ბევრი რამ აპატია კიდეც, საბოლოო ჯამში, „ომეგა ჯგუფის“ რამდენიმე მილიონი ლარი დავალიანებაც ჩამოაწერეს და „განწმენდილებმა“ დაიწყეს მუშაობაო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

რატომ არავინ ეკითხება კვირიკაშვილს და ქუმსიშვილს, რა დამსახურების გამო გადაუვადეს „ომეგა-ჯგუფს“ დავალიანების გადახდა 11-ჯერ?

რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ძველი რესპოდენტი, ნაცრეჟიმის წნეხგამოვლილი სოსო ჯულელი დაგვიკავშირდა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის საფინანსო-სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელად, იყო თბილისის მერიის გენინსპექციის კორუფციასთან ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების უფროსი. ბუნებრივია, მას იმ უნიჭოდ დადგმული პოლიტსპექტაკლის შესახებაც ვესაუბრეთ, რომლის მთავარი ფიგურანტიც ბიზნესმენი ზაზა ოქუაშვილია.

– ზაზა ოქუაშვილი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში თამბაქოს ბიზნესის მონოპოლიზაციას ახორციელებდა ადგილობრივ ბაზარზე. ამის გამო, „ელიზის“ მეპატრონე თამაზ ელიზბარაშვილი საგადასახადო ინსპექციაში ერთ-ერთ ძალიან მაღალი თანამდებობის პირთან დაიბარეს. მის კაბინეტში მოხდა საქმის გარჩევა, ელიზბარაშვილისგან ითხოვდნენ, რომ „ელიზს“ დაეთმო ბიზნესი „ომეგასთვის“, რაზეც მან უარი განაცხადა. უცებ სადღაც დაირეკა, ელიზბარაშვილი უარზეაო, მისი უწყების შენობიდან გამოსვლა იყო და ისე სცემეს, რომ ლამის მოკლეს. მაშინ არც ვიცნობდი ელიზბარაშვილს, მერე გაირკვა, რომ „ელიზის“ მფლობელი იყო. იქიდან მოყოლებული ახორციელებდა ოქუაშვილი კონკურენტებზე ასეთ ზეწოლებს და ბიზნესის წართმევას. სპეცრაზმელები შეცვივდნენ „ომეგას“ საწყობებში, თანამშრომლებს ცეცხლიც კი გაუხსნეს და ა.შ. ზაზა ოქუაშვილი ახლაც ცდილობდა იგივე გაეკეთებინა, რასაც ამბობს ფულს ვუხდიდიო, ყიფიანი ასე როგორ დაეცა, რომ ფულის გულისთვის ბინძურ თამაშში ჩაება, თან „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა. მე ბიძინა ივანიშვილის ადვოკატად ვერ გამოვდგები, მაგრამ ოქუაშვილის ნათქვამი, რომ ივანიშვილმა ოთხი მილიონი სთხოვა (გვარამიამ უკვე გაზარდა ეს „სტავკა“ ხუთ მილიონამდე — მ.ს.), თან თურმე თითებითაც აჩვენა, არის სრული აბსურდი. ადამიანს, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის, უზარმაზარი თანხები აქვს დახარჯული, როგორ დავიჯერო, რომ ვიღაცას ოთხი მილიონი მოსთხოვა. დარწმუნებული ვარ ყველა ჩანაწერი არის ფაბრიკაცია, მათი ავთენტურობა, რაც შეიძლება სწრაფად უნდგაირკვეს, თავად ხელისუფლება უნდა იყოს ამით დაინტერესებული. ბიძინა ივანიშვილს ბევრი გამყიდველი რომ ყავს გვერდით, ესეც ფაქტია.

– ბატონო სოსო, ოქუაშვილს ხელისუფლება 51-მილიონიან საბიუჯეტო დავალიანებას ედავება. საზოგადოებას ძალიან აინტერესებს, რატომ მისცეს ოქუაშვილს იმის უფლება და საშუალება, რომ ამხელა დავალიანება დაეგროვებინა?

– ეს კითხვა კვირიკაშვილს და ქუმსიშვილს უნდა დავუსვათ. კვირიკაშვილის წესიერება როგორღა უნდა გწამდეს, მაფიოზი დიმიტრი ქუმსიშვილი რომ ყავდა გვერდით, ფაქტობრივად, ქუმსიშვილი ატრიალებდა ყველაფერს. ეს ბატონი ოქუაშვილის საქმეშიც არის გარეული, ახლა რომ იმალებიან და ქუმსიშვილზე სიტყვას არ ამბობენ. რატომ მივიდა ლევან ყიფიანი კვირიკაშვილთან და არა ბიძინა ივანიშვილთან, როცა მასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა? იმიტომ არ მივიდა ბატონ ბიძინასთან, რომ ამ ყველაფერს გიორგი კვირიკაშვილი განაგებდა, მას გააცნო ყიფიანმა რა ვითარება იყო თამბაქოს ბიზნესში, ეპატიებოდა თუ არა ოქუაშვილს ვალი. „ომეგა“ ისეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო, რომ 11-ჯერ გადაუვადეს დავალიანების გადახდა, რატომ გადაუვადეს, შემოსავალი არ ჰქონდა, ვერ გადაიხდიდა თუნდაც ნაწილ-ნაწილ თუ რა იყო? ხომ ხედავთ როგორ შემოუბრუნდა ხელისუფლებას ეს ნალოლიავები „ბიზნესმენი“, ბიძინა ივანიშვილიც გარიეს ამ სიბინძურეში, ესეც სპეციალურად გაკეთებული მგონია. ოქუაშვილი გარიგებაში რომ არის შესული ნაცმოძრაობასთან, უკვე აშკარად ჩანს, საერთოდ ნაციონალები ყველგან არიან შემძვრალები, აქ მარტო სახელმწიფო უწყებებს არ ვგულისხმობ, ყოფილ თავიანთ კომპანიებსა თუ ფირმებში, გამოაქვთ ინფორმაციები და როცა მოესურვებათ, მაშინ იყენებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ოქუაშვილი რომ ბრძანებს, ორი დღის გახსნილი მქონდა ის ფირმა, საიდანაც ოთხი მილიონი გამოვიტანე, ორი დღის გახსნილი ფირმის ანგარიშზე რა უნდოდა ოთხ მილიონს? როგორ შეძლო ოქუაშვილმა ამხელა თანხის გამოტანა? კარგი, გამოიტანა, მაგრამ ოქუაშვილის დირექტორებმა გამოიტანეს ხომ ბანკიდან ეს ფული ორ ეტაპად, მაგრამ ვის მისცეს, სად წაიღეს? იქნებ ოქუაშვილს მიუტანეს უკან? აქვთ იმის მტკიცებულება, რასაც ლაპარაკობენ?

პირდაპირ ნაცმოძრაობის მიერ, ოქუაშვილის ხელშეწყობით დადგმული სპექტაკლი. მათ კარგად იცოდნენ, ოქუაშვილს უზარმაზარი საბიუჯეტო დავალიანება რომ ჰქონდა და ეს კარგად გამოიყენეს. ოქუაშვილების წყვილს „ქართულ ოცნებასთან“ ერთად „პატრიოტთა ალიანსიც“ ალანძღვინეს, გაჭირვებაში როგორ მიატოვეს ეს „უმწიკვლო“ ბიზნესმენი? თუ ორი წლის წინ დაიწყო ხელისუფლების მხრიდან „ომეგას“ დატერორება, პარლამენტარი ქალბატონი ნატო ჩხეიძე აქამდე რატომ დუმდა, რატომ არ გამოიყენა მაღალი ტრიბუნა, მაინც და მაინც არჩევნების წინ გაახსენდა „გასაჭირი“. „აქცენტების“ წამყვანებს გვარამიაკვესიტაძეს ისე გაუხარდათ ზაზა ოქუაშვილის პირით გაჟღერებული მორიგი სიცრუე, ბიძინა ივანიშვილი მთხოვდა „პატრიოტთა ალიანსი“ დააფინანსეო, რომ ლამის სკამებიდან წამოხტნენ და დავლური დაუარეს. მოკლედ, ერთი სული აქვთ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად „პატრიოტთა ალიანსი“ ტალახში გასვარონ, ირმა ინაშვილს ვერაფრით პატიობენ ნაცრეჟიმის მესაფლავეობას.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ოპოზიცია თუ „ქოპოზიცია“

რა უნდა არმაზ ახვლედიანს?

ამასწინათ „ქართული ოცნების“ ყოფილი ლიდერი არმაზ ახვლედიანი ტელევიზორიდან „ქართულ ოცნებას“ მუხრან-ბატონივით ჩაუხტა — ესენი ასნეულებენ ქართულ პოლიტიკურ სხეულს და დაღუპვისკენ მიჰყავთ ქვეყანაო. არადა, ეს კაცი 2012-ში ამბობდა: მე ამაყი ვარ „ქართული ოცნების“ წევრობითო.

ამ ამბავში განსაკუთრებული არც არაფერი უნდა იყოს, წესით. შეიძლება ადამიანი შეცდე, აღიარო და გაემიჯნო, მაგრამ ჩვენს უცნაურობით გამორჩეულ ქვეყანაში სხვა ტიპის უცნაურობა ხდება: ვინც პოლიტიკაში არის დღეს, არავინაა მოსული პოლიტიკური იდეოლოგიითა და პროგრამით. ყველა მოსულია წარსულიდან, იმ წარსულიდან, რომელიც არ ცდება გასული საუკუნის 80-იან წლებს. ეს ვითომ პოლიტიკოსები ჯერ „მოქკავშირში“ იყვნენ და როცა მიშამ გაშალა ბაირაღები, იმას მიეკედლნენ, 2012 წელს კი ივანიშვილს შეუძვრნენ.

კაცო, თუ პოლიტიკოსი ხარ და არა კარის მასხარა, ყველა მთავრობას როგორ ერგები — შევარდნაძესთან თუ იყავი, მიშა ყოველ დღეს მისი ლანძღვით იწყებდა და ამთავრებდა, მიშასთან რაღამ გაგაერთიანა, თუ მიშას ვერ იტანდი, ბიძინა ივანიშვილისკენ რა გულმა გაგიწია, კაცთან, რომელმაც ძალაუფლება წაართვა სააკაშვილს და ქვეყანაში ჩამოსვლა აუკრძალა?..

ზემოთ რომ ვთქვი, ის ახალგაზრდა კაცი, რომ ჰკითხო, პოლიტიკოსია, „ქართულ ოცნებაში“ ყოფნით ამაყი ვარო, ამბობდა და პარტიის ლიდერიც იყო კარგა ხანს. მაგრამ, ეტყობა, კარგად ვერ ჩამოყალიბებულა და ჯერ არ იცის, ამაყია თუ დათრგუნული, არადა პოლიტიკური სკოლის დირექტორია.

ვაი, ვაი და კიდევ ვაი — ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი პოლიტიკური სკოლა ექნება ახლა ამას. ხოდა, პოლიტიკას რომ ასწავლის სტუდენტებს, ის კაცი მოსთქვამს: „ქართული ოცნება“ ქართულ პოლიტიკურ სხეულს აზიანებსო.

თუ „ქართული ოცნება“ დაავადების გამავრცელებელ-დამსნეულებელია, „მოქკავშირი“ და „ნაცმოძრაობა“ გამაჯანსაღებელი იყვნენ?

მშვენივრად მახსოვს 80-იანი და 90-იანი წლებიც, 2003-იც, მაგრამ ეს ადამიანი თავისი პროტესტით, მომკალით და არ მახსოვს.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი: ეს ე.წ ოპოზიციონერები ედიკას და მიშას ბუდიდან ამოფრენილები გუგულის ბარყებივით ხან ერთ ბუდეში რომ იზამთრებენ და ხან — მეორეში, იმის გარდა, რომ „ვიგოდნიკი“ დემაგოგები არიან, ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ, უფრო მეტი, დაბოღმილ-ხელმოცარულებს, ეს ხალხი ეჯავრებათ და სკლეროზიანი ჰგონიათ.

ასე რომ არ იყოს, არმაზ ახვლედიანი გუშინ „ოცნებას“ რომ აქებდა და დღეს ძირს უთხრის, იმაზე არ ფიქრობს ეს ვითომ ქვეყნის გადამრჩენელი კაცი, რა უნდა ჰქნას უბრალო გლეხმა, პატრიოტმა ადამიანმა, პოლიტიკური ინტრიგების რომ არაფერი გაეგება და არ იცის, ვის მიემხროს, ვინ აირჩიოს, ვისი იმედი იქონიოს? იმის, გუშინ სხვას რომ ამბობდა და დღეს სხვას რომ ლაპარაკობს?

რა ვქნათ ჩვენ — ხვალ რა მოუვა აზრად ახვლედიანს, ვარსკვლავებზე ვიმკითხაოთ თუ ტაროს კარტი გავშალოთ?

კრიტიკა კარგია, აფხიზლებს ადამიანსაც და ხელისუფლებებსაც, მაგრამ სხვას რომ აკრიტიკებ და თავი პოლიტიკოსად მოგაქვს, შენი გაკეთებული რამე გაგვახსენე ან შევარდნაძის დროს, ან მიშას დროს, ან იმ პერიოდში „ქართულ ოცნებაში“ რომ იყავი.

არა, პოლიტიკურად რომ დავაჟკაცდა, ეტყობა — მეტად პრინციპული გახდა. ეს კარგია, მაგრამ პრინციპულობა მაინცა და მაინც მაშინ კი არ უნდა გამოიჩინო და მხოლოდ მაშინ კი არ უნდა გაწიწმატდე, მაგალითად, რეგიონში მთავრობის თავმჯდომარედ რომ არ დაგნიშნავენ.

პრინციპული, როგორც ბათუმში იტყვიან ხოლმე აჭარლები, ბაღნობიდანვე უნდა იყო. ბაღნობიდანვე გამყიდველი და ვანკა-ვსტანკა კი არა.

წესით, მართალი კაცი შევარდნაძის დროსაც უნდა ყოფილიყო პრინციპული და სააკაშვილის დროსაც…

პარლამენტში ყოფნისას საკუთარი პოლიტიკური ორიენტაცია ვერ გაარკვია, ახლა სახალხო მღელვარებისკენ მოუწოდებს ხალხს. თან გამოდის და ტელევიზიებიდან იმუქრება.

რომ ჰკითხო, პოლიტიკოსია და იმას ვერ მიმხვდარა, სპეციალურად რომ იწვევენ ტელეწამყვანები.

ჯერ ერთი, ამ ვითომ ჟურნალისტებს, ამათ, თავაინთი თავი რომ გასჭირვებიათ და პოპულარობის და თავის გამოჩენისთვის ხან ჟურნალსტს რომ ირქმევენ, ხან ექსპერტს და ხან კიდევ პოლიტიკური პარტიის წევრები ხდებიან, სინამდვილეში არათუ ჟურნალისტები, ვიღაცის ერთი უბადრუკი, საცოდავი აგენტები, მოენეები არიან და კომპრომეტირებული რესპონდენტების მოწვევით თავიანთი სიგლახე სურთ დამალონ, თვითონაც იგივე ქაქი რომ აქვთ ნაჭამი, ვითომდა, მარტო ჩვენ კი არა, აი, ეგეც ასე ლაპარაკობსო. თან იმასაც ფიქრობენ, ამან პოლიტიკური ორიენტაცია და შეხედულება სამჯერ უკვე შეიცვალა, ისეა მიჩვეული, კიდევ შეიცვლის, მეც კიდევ მოვიწვევ, ვალაქლაქებ, საქმეში ჩამეთველბაო.

„დათვმა ლხინი გადიხადა“ ეგაა ზუსტად…

„საქმეში“ ხართ, გეტყობათ, ახლაც: 2012-დან კარგად შევცდითო, იტყვის, ვინ არ შემცდარაო.

გაპატიებთ, ბატონო, მაგრამ რომელი გაპატიოთ, „მოქკავშირთან“ ხვანხვალი, მიშასთან ჭუკჭუკი, თუ ის, მაღალ-მაღალ თანამდებობებზე რომ „ოცნებობდით“ „ოცნების“ რიგებში?!

კარგი, ბატონო, ყველაფერს გაპატიებთ, ოღონდ გაჩერდით მაინც, მაგრამ არა! მაგალითად, ეს ახალგაზრდა კაცი ახლა სახალხო მოძრაობის დაწყებას გეგმავს თურმე, ორი მოწვევის გამძლარ-დანაყრებულებმა, სხვა ბაგას მიაშურეთ… JDS- ის ეთერიდან ხომ ყელყელაობდით, ახლა სხვა პოსტი აირჩიეთ და დაყენებული სახეებით გვმოძღვრავთ. თქვენნაირებისაა დღეს მედია, აბა, ჭკუასაკითხავ ხალხს მანდ რა უნდა?.

ეს ე.წ. შეურიგებელი, ვითომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც, ვითომდა „შეურიგებელ“ჟურნალისტებსაც სანახაობისთვის სჭირდებით კუკური მანგოსა და 2012 წლამდე მხიარულად მოტყრაშუნე ნატა ფერაძესთან ერთად.

პოლიტიკური პრასტიტუტკობა სხვა არაფერია და პატიოსანი კაცების როლებს ნუღარ თამაშობთ, „ოღონდაცა, რაა“…

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გაჭ(ყლე)ტილ გამზარდიასა და ფულის ხურუშიან ელისტრახოს გაბაასება სოფლის კლუბ „იბერიაში“

ამა წლის 5 ოქტომბერს სოფლის კლუბ "იბერიაში" ელისტრახო კილაძე აათამთამეს - გამოუშვეს სცენაზე ვითარცა პატიოსნების განსახიერება და უფრთო ანგელოზი, ვითარცა უშიშარი, უხორცო და ერის დედაი, ქვეყნის გადამრჩენელი! ვაი, ვაი, ვაი... ნეტა არ ვიცნობდე მაინც, ხომ ვიცი, რა ნაგავსაყრელიც ბრძანდება - რა პატიოსნება, რი ანგელოზი, რომელი ქვეყნის გადამრჩენელი?!

ელოს პირველი "ჩეპე":

ახლა, თავი რომ არ მოგაბეზროთ და გადაგღალოთ, მოკლედ გეტყვით, რეები იკადრა ამ ყველაფრის მკადრებელმა არსებამ: ისაო, დღეს ქართულ ჟურნალისტიკას "ქართული ოცნების" მხრიდან გრუ-ს ბებერი გენერალი ნუგზარ ფოფხაძე მართავსო. უფრო სწორად, იმ

ნაწილს მართავს, სადაც თავმოყრილნი არიან სულწაწყმედილი ჟურნალისტებიო და ჩამოთვალა - "ასავალ-დასავალის" "სასტავი", სააგენტო "რეპორტიორი" გიორგი მამაცაშვილის თამადობით, "საერთო გაზეთი" ვახტანგ ხარჩილავას თამადობით და მე, რომელსაც თურმე ჩემი საინფორმაციო სააგენტოც მქონია. საერთოდ, ელისო კილაძის ნაბოდვარზე რეაქცია არ მაქვს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე უზუსტობაზე გავამახვილებ.

ქალბატონი ელეონორა თავისი ბინძური პირით ღაღადებს, თამაზ თამაზაშვილი ჩემთვის გადმოსაცემად ნუგზარ ფოფხაძეს ყოველთვიურად 20 ათას დოლარს ატანდა, მაგრამ არ მოჰქონდაო. გაიგონეთ? ატანდა და არ მოჰქონდაო!

ამ დროს არჩილ გამზარდია ზის სტუდიაში წამყვანად და თვალებს აჭყეტავს ქვადარტყმული ბაყაყივით. შე მართლა უჯიშო ქლიავო, თუ მიკერძოებული არ ხარ, ხომ უნდა ჰკითხო: ელო, ქალო, თუ თამაზაშვილი ფოფხაძეს შენთან 20 ათასს ატანდა, გამოდის, რაღაც გარიგება გქონდათ, ესე იგი, ფოფხაძე ზედელაშვილს, ხარჩილავას და სხვებს კი არა, შენ გმართავდა, შე მართლა უკუღმა მომართულო, შენა!

ელოს მეორე "ჩეპე": თავის მონოლოგში ერთგან ამბობს, როდესაც გაზეთის გამოცემა დავაპირე, ნუგზარ ფოფხაძე წილის 30 პროცენტს მთხოვდა და უარი ვუთხარიო. საერთოდ, ჩვენში ასეა, როცა ვინმე წილს ან მსგავს რამეს გთხოვს, ის ან ოჯახის წევრია, ან მეგობარი, ან კიდევ გარე ნათესავი. თუ ნუგზარ ფოფხაძე მე და ვახტანგ ხარჩილავას გვმართავს, მაშინ რატომ არ მოგვთხოვა წილები ჩვენ, როცა შპს-ებს ვარეგისტრირებდით? დიახ, მე მაქვს საინფორმაციო სააგენტო "ლიდერი", რომლის წილის 100-პროცენტიანი მფლობელი არის ჩემი შვილი. რაღაც არ მახსენდება, ფოფხაძეს დაერეკოს და ეთქვას, წილში ჩამსვითო. თუ ვინმე დარეკავდა, ვეტყოდი, სად ერეკლე, სად - პაპაჩემის ყურებიანი ქუდი-მეთქი? არა, ელისომ ასე ვერ უთხრა ნუგზარ ფოფხაძეს, რადგან იმ პერიოდში მას გრუ–ს რეზიდენტს კი არა, მშობელ მამაზე უფრო საყვარელ მამას, გამზრდელს და გზის გამკვალავს ეძახდა და გაზეთიც მისი მეცადინეობით გამოსცა!

ელისტრახო სხაპასხუპით აფრქვევს ტყუილებს, ამ დროს არჩილ გამზარდია ისევ ზის სტუდიაში წამყვანად, როგორც ქვადარტყმული ბაყაყი და ხმას არ იღებს, მხოლოდ ერთხელ ხვნეშის, შოკში ვარო. ბებიაშენისამ, შოკში ხარ, დაგავალეს, ელეონორას არ შეაწყვეტინოო და შეასრულე კიდევაც გაჭყლეტილი ბაყაყის როლი. "ტოჟე მნე", შოკშია ბიჭი!

ელოს მესამე "ჩეპე": მოჰყვა, კაცო, მოჰყვა და აღარ გაჩერდა, აღარ ამოისუნთქა, აღარ

გააკეთა პაუზა, ბევრი ზღაპარი ჰქონდა მოსაყოლი. თამაზ თამაზაშვილი რომ ფოფხაძეს ჩემთან 20 ათასს ატანდა 4 თვის განმავლობაში, ამის შესახებ თამაზაშვილმა რეზო ამაშუკელს უთხრა, ამ საუბარს "ასავალ-დასავალის" რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი ესწრებოდაო. აი, უყურეთ, თურმე ის რომ ამას ფულს ატანდა, ამაზე იმან ამას უთხრა და ამას ისიც ესწრებოდა. ხომ კარგად არის ჩახლართული ასინეთურად? ჩამოთვლილთაგან არც ერთს არ აქვს კონტაქტი ელისტრაკოსთან, არც ერთი არ გაუგულისპასუხდებოდა, რომ მისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა. არადა, ამან დეტალურად იცის, ვინ ვის რა და როგორ უთხრა. არა, პირწავარდნილი ასინეთაა, ეს ჩემი ცოდვით გახორცმეტებული!

ელო ხლართავს, ინტრიგებს აწყობს (თავისი მოკლე ჭკუით), იმან რომ ამას ის უთხრა, ეს ხომ დაეჭვდება, მართლა ხომ არ უთხრაო? უნდა, რომ ხალხი დარიოს ერთმანეთში, მაგრამ არა მგონია, რომელიმე ამ დაჟანგებულ ანკესზე წამოეგოს, არც ერთია არიფი, არც მეორე და არც მესამე!

ელოს მეოთხე "ჩეპე": ვის, ვის და... მას არ უნდა ეხსენებინა სიტყვა "ხორცმეტები". არადა, ჩამოგვთვალა - ზედელაშვილიო, ახრახაძეო, თოფურიაო, ჯღარკავაო, მამაცაშვილიო... აი, ესენი, ეს ხორცმეტები უნდა ჩავრეცხოთო. დიახ, სწორედ ასე თქვა "ხორცმეტებიანმა" ელომ. ჰმ... ეტყობა, ამ უგვანოს აღარ ახსოვს, რომ მე ის 2012-ში ჩავრეცხე და ხელებიც დავიბანე. არა, ადამიანის მსგავსი არსება თავის ნაგავს სხვას ასე აყრიდეს, პირველად ვხედავ!

ეგენიო, ეგ ხორცმეტებიო, მკვლელები არიან, სიტყვით კლავენ ადამიანებსო – თქვა ხორც–მეტმა ელომ, იმაზე კი არაფერი უთქვამს, არგასაზრდელი გამზარდიას ეთერში მთელი ნახევარი საათი ცოცხლად რომ მარხავდა კაცს, რომელსაც ცოტა ხნის წინათ მამას ეძახდა.

ელოს მეხუთე "ჩეპე": დიახაცო... მეო, ხშირად მინახავს ლევან ყიფიანი ნუგზარ ფოფხაძის სახლშიო. აი, თეთრი ძაფი და უკანალში პაპიროსი! მე არც ფოფხაძის სახლში ვყოფილვარ, არც ამ ადამიანს ვიცნობ ხეირიანად (ერთხელ ვარ შენახვედრი მეგობრის დაბადების დღეზე შემთხვევით) და ბუნებრივია, არც ლევან ყიფიანი მინახავს მის სახლში. ესე იგი, შენ დადიოდი ფოფხაძის სახლში და ნახე ლევან ყიფიანი ხომ?!



ეეეჰ, ზის ისევ გაშტერებული სახით არჩილ გამზარდია გადაცემის წამყვანად და ხმას არ იღებს, ეგეთი ქინძობა გაგონილა? ჰკითხე, ბიჭო, ჰკითხე, რასაც ახლა მე ვეკითხები. თუმცა რა უნდა ჰკითხო, როცა ქილაში ჯონჯოლის ჩადების მეტი არაფერი იცი? რომც იცოდე, ბებიაშენისამ, რამეს გაბედავ, აი!

და კიდევ ერთი... თავიდან ელომ დააბრეხვა, ბიძინა ივანიშვილი ფოფხაძის ხელით ქართული მედიის დიდ ნაწილს აკონტროლებსო, მართავსო, ბოლოს კი ყვება, ვიღაცის დაკრძალვაზე შეხვდა ბიძინა მამაჩემ ნუგზარას და ხელი არ ჩამოართვაო. აი, აქ კი შეიშმუშნა ფიქრებში წასული გამზარდია, მაშინ რა გამოდისო? ელომ აქ თავისებურად ჩააგვირისტა, ფოფხაძე ივანიშვილის სახელს იყენებსო. მაიცა, შე ტარტაროზო, ხომ იძახდი, იმის ხელით მართავსო? ეხლა კიდე ის არ მართავს ამის ხელით და ეს მხოლოდ იყენებს? ეგრე არ გამოვა, შვილოსან, ან ისე უნდა იყოს, ან ასე. თუმცა ბოლოს ელომ ისე შეატრიალა საკითხი, თითქოს ბიძინა ივანიშვილმა არაფერი იცის და ჩვენ მას ჩამოვაცილეთ სანდო ადამიანები. მომეჩვენა, რომ "სანდო ადამიანებში" თავისი თავი იგულისხმა. არა, ელისტრახოს არაერთხელ ჰქონდა მცდელობა, ბიძინა ივანიშვილის თუ არა, სოსო გოგაშვილის კართან მაინც ჩამომჯარიყო, მაგრამ არც ერთმა არ გაიკარა და მას მერე ჩაუჯდა მიხა სააკაშვილს მუხლებში. ჩაუჯდა რა, მაგანაც თქვა დასაწყისში, ბინძური ქალია, მაგრამ საჩემოდ გამოვიყენებო. ბინძურმა ბინძური უნდა გამოიყენოს, აბა, როგორ? თუმცა შედეგი ყოველთვის უარყოფითია, ქართველმა ხალხმა ქიციც იცის და ქიცმაცურიც. ბოლო-ბოლო, სანამ რამეს მოიწადინებ, სარკეში მაინც უნდა ჩაიხედო, ხომ არ ჰგავხარ ყურებიან პენისს?!

ჰა, ჰა, ჰა... ზედელაშვილს ნუგზარ ფოფხაძე მართავსო, კაცოოო, „საერთო გაზეთსაცო", იმასაც და ამასაცო. რათა ნუგზარი, იქნებ პირდაპირ ვოვა პუტინი გვმართავს კრემლიდან? აააა, ეს შუამავალია? მერე, თუ გვმართავს, ფული სად არი, რატო არ იძლევა, რატო არ ატანენ ყოველთვიურად 20 ათასს? ნუგზარი ტეხავს? აბა, უყურეთ, ეგეთი რამეები როგორ შეიძლება? ვაი, ვაი, ვაი, არ გიცნობდე მაინც, ელო, შე ფულის ხურუშიანო, შენა!!!

გელა ზედელაშვილი

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

თეთრიწყაროში გარისობა 2018 აღინიშნა

8 ოქტომბერს ქალაქ თეთრიწყაროში სახალხო დღესასწაული „გარისობა 2018“ მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა.

კულტურისა და დასვენების პარკში შეკრებილი საზოგადოება მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტმა მეუფე ანანია ჯაფარიძემ დალოცა. ღონისძიების მონაწილეებს სახალხო დღესასწაული მიულოცეს თეთრიწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ჩანქსელიანმა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო თეთრიწყაროში მცხოვრები საქართველოს სხვადასხვა კუთხის და ეთნოსის წარმომადგენელთა საგამოფენო სივრცეები, გაიმართა ტრადიციული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, საგამოფენო სივრცეში აგრეთვე წარმოდგენილი იყო ტურიზმის კუთხე, ღია ბიბლიოთეკა, მოძრავი თოჯინების თეატრი და სხვა საბავშვო-გასართობი აქტივობები. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა.

მაყურებელთა წინაშე საკონცეტრო პროგრამით წარსდგნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები და ანსამბლი „ჩვენებურები“.

სახალხო დღესასწაულის სახელწოდება „გარისობა“ უკავშირდება ქ. თეთრიწყაროს ისტორიულ სახელწოდებას. გარისობა, როგორც ქალაქის დღესასწაული გასულ წლებში მასშტაბურად აღინიშნებოდა მოსახლეობის მაღალი ჩართულობით, ხოლო 90-იანი წლებიდან დავიწყებას მიეცა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, 2017 წლიდან კვლავ ჩაეყარა საფუძველი დღესასწაულის აღნიშვნას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლად:

● სრულდება ბუკისციხე-იანეული-მოედანა-ქვემოერკეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რებილიტაცია.

● დასრულდა გურამიშვილის ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება.

● სოფელ გორაბერეჟოულში, უნგიაძეების უბანსა და სოფელ ინტაბუეთში დასრულდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კუჭავამ მუნიციპალიტეტისა და სოფლების ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა. უბნის მცხოვრებლებთან შეხვედრისას მერმა გაისად განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

მიმდინარე წლის 2–6 ოქტომბერს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ სეხნიაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ გიორგი თანიაშვილმა ლიეტუვის რესპუბლიკის შაკეის რაიონის თვითმმართველობის ხელმძღვანელობას მერს – ედგარას პილიპაიდისს და შაკეის რაიონის თვითმმართველობის წარმომადგენლებს – ვიოლეტა სიმონავიჩიენეს, ინგა კანაპეცკიენეს, ედვინას ალბერტასს უმასპინძლა.

ვიზიტის მიზანი იყო დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შაკეის რაიონის თვითმმართველობას შორის მეგობრობის ხელშეკრულების – ურთიერთთანამშრომლობის განზრახულობის ოქმის გაფორმება, რომელსაც ხელი მოაწერეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პოირველმა მოადგილემ გიორგი თანიაშვილმა და შაკეის რაიონის მერმა ედგარას პილიპაიდისმა. შეხვედრაზე გიორგი თანიაშვილმა და ედგარას პილიპაიდისმა ისაუბრეს ორი ქვეყნისა და ორ რაიონს შორის ურთიერთობაზე და აღნიშნეს რომ, მემორანდუმი სწორედ ამ ურთიერთობის გაღრმავებას და განათლების, კულტურის, სოციალური და ეკონომიკური კუთხით გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა დაათვალიერეს ქ.დუშეთში არსებული ძირითადი დაწესებულებები: დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, ოლიმპიური სახლი, საჯარო სკოლები, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალები, დუშეთის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, სახელოვნებო სკოლა, ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლი. დაესწრნენ ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მიერ გამართულ კონცერტს.

აღნიშნული შეხვედრის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი და ამავდროულად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტი ირაკლი დუდაური და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრის პროფესორი ვიდას კავალიაუსკასი.

დუშეთი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ სიღნაღში ტურისტული სეზონი კვლავ აქტიურ ფაზაშია. მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, 2018 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე ტურისტების რაოდენობა გასული რამდენიმე წლის სტატისტიკას აჭარბებს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, ქალაქში ტურისტული რუკები განახლდა. ასევე, ქალაქში მიმდინარეობს გარე ფასადების რეაბილიტაცია. წელსვე დასრულდა დენდროლოგიური პარკის და მასთან მისასვლელი ბილიკის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. სამუშაოებზე 370 844 ლარი დაიხარჯება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 3 გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1000 000 ლარია.

ტენდერი გამოცხადდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრამდე გზის სარეაბილიტაციო (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 300 000 ლარია.

ტენდერი გამოცხადდა ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის ახალკახათის გავლით, ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო მესამე ეტაპის სამუშაოებზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 400 000 ლარია.

ტენდერი გამოცხადდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრიდან № 1 სასაფლაომდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 300 000 ლარია.

● ზუგდიდში სახანძრო-სამაშველო ცენტრის მშენებლობაზე ტენდერი დასრულდა. კომპანია „იმერეთმა“ 270 კალენდარული დღის განმავლობაში 2 893 800 ლარად უნდა შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაო: ელექტროობის მოწყობა, კომპიუტერიზაციის, გახმოვანების, ტელესაკომუნიკაციო და ვიდეოდაცვის სისტემების მოწყობა; ჩატარდეს გათბობის, კონდიცირების, ვენტილაციის სამუშაოები, მოეწყოს ეზოს სანიაღვრე სისტემა, წყლისა და წყალმომარაგების სისტემები.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენლებს შეხვდა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ქალაქ ფოთში რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებული მიმდინარე და დასრულებული პროექტები დაათვალიერეს:

საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული ფილიალი რამდენიმე თვეა ამოქმედდა. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით;

ექსპლუატაციაში შევიდა კრივის დარბაზიც;

მიმდინარეობს ხელბურთის დარბაზის კაპიტალური რემონტი და სტადიონის მშენებლობა, რომლის ღირებულება 1863 000 ლარს შეადგენს;

მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს მალთაყვის სანაპირო ზოლზე. ბულვარის სიგრძე 800 მ-ით გაიზრდა, მოეწყო შიდა კომუნიკაციები, ხორციელდება მცირე არქიტექტურული ფორმებისა და საყვავილეების, გარე განათების სისტემის მონტაჟი და სხვა სამუშაოები. პროექტის მეო-

ძლიერი საქართველოსთვის

რე ეტაპზე 2 მილიონ 780 ათასი ლარის სამუშაოებია დაგეგმილი;

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფარნავაზ მეფის ქუჩაზე ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოები. ეწყობა ბაზალტის ბორდიურები, გადასასვლელებზე იგება რკინა-ბეტონის საფარი, მონტაჟდება გარე განათების ბოძები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ მუკუზანში მიმდინარეობს შიდასაუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე, ე.წ. ცისკარაანთ უბანში ასფალტის დაგება უკვე დასრულებულია. სამუშაოები, რომელიც მერმა არჩილ ხანდამაშვილმა დაათვალიერა, რეგიონებში განსახორციელებილი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი საერთო ღირებულება 415 248 ლარია. ამავე პროექტის ფარგლებში შიდასაუბნო გზებზე მოეწყო სანიაღვრე არხები.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში გრძელდება შიდა საავტომობილო გზების ასფალტბეტონის საფარის დაგება. ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს თამარ მეფის ქუჩაზე.

პროექტის ფარგლებში ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა წერეთლის, ოქტომბრის, ნ. გეგიას, შეროზიას, დადიანისა და კალინინის ქუჩებს. ჯამში დაიგება 3 500 მეტრი ასფალტბეტონის საფარი. პროექტი ასევე მოიცავს გრუნტის კიუვეტებისა და ლითონის მილების მოწყობას მიერთებებზე და ეზოს შესასვლელებში.

სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულება 607 995 ლარს შეადგენს. სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას მიმართულებით წლებია ასფალტის საფარი არ განახლებულა. რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაო, რომელზეც დასაქმებულია 15 ადგილობრივი.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 288 133 ლარია.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● ქვედა ჩხოროწყუში დაფნის გადამმუშავებელი საწარმო შენდება, რომელიც მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა დაათვალიერეს. „აწარმოე საქართველოში“ – ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი. ინვესტიციის მოცულობა ჯამში 500 000 ლარს აჭარბებს. მშენებლობა ნოემბრის თვეში დასრულდება, ქარხანა თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღიჭურვება.

დაფნის გადამმუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში დამატებით სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

● მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა სოფელ ლეწურწუმეში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს – ნაკიფუ-ჩხოროწყუ-ლეწურწუმეს საავტომობილო გზის 3 კმ. მონაკვეთზე ასფალტის საფარი იგება. პროექტი ითვალისწინებს ასევე ეზოში შესასვლელების, მიერთებების, წყალამრიდი მილების, ბეტონის კიუვეტების, გაბიონების მოწყობას და ახალი ხიდის მშენებლობას.

მუნიციპალური განვითარების ფონდი პროექტს 2 396 069 ლარით აფინანსებს. სამუშაოები 2019 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი ამერიკელ სომელიეებთან ერთად საქართველოში იმყოფება და ქართულ ღვინოს ქართლსა და კახეთში ეცნობა. ლიზა გრანიკი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანია Tastingwork-ის ხელმძღვანელია. ტურის ფარგლებში ამერიკელი სტუმრები საქართველოში ღვინის მწარმოებელ 20-მდე კომპანიასა და მარანს ეწვევიან.

ღვინის ტურის ერთ-ერთი დღე ქვემო ქართლს დაეთმო. ბოლნისში სტუმრები რამდენიმე მწარმოებლის ღვინოებს გაეცნენ. ლიზა გრანიკის შეფასებით, ბოლნისში წარმოდგენილი ღვინოებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „რქაწითელი“ და „თავკვერი“.

„ამ ღვინოებს ისეთი მახასიათებლები აქვს, რაც განსაკუთრებულს და განსხვავებულს ხდის. რქაწითელს აქვს ინდივიდუალიზმი, რაც ყველა ბოლნისური ღვინის მახასიათებელიცაა. ჩემთვის მათი დაგემოვნება მართლაც ამაღელვებელი იყო. რაც შეეხება „თავკვერს“, ის არის კარგად დაბალანსებული ღვინო, მასში არის ელეგანტური ტანინები და ამ ადგილის ინდივიდუალიზმი. ჩვენც სწორედ ამას ვეძებთ, ღვინოებს, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალიზმი და გამოხატვის უნიკალურობა“, – აღნიშნა ლიზა გრანიკმა.

მისი თქმით, ჯგუფის შემადგენლობაში არიან გავლენიანი სომელიეები აშშ-იდან, რომლებიც ნიუ-იორკის პრესტიჟულ რესტორნებთან თანამშრომლობენ.

ბოლნისელი მეღვინეების შეფასებით, ღვინის პროფესიონალების ვიზიტი ხელს შეუწყობს მათი ღვინოების პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა. გუბერნატორი მოადგილესთან ზაურ დარგალთან, დმანისის მუნიციპალიტეტის მერ გიორგი ტატუაშვილთან, მერის პირველ მოადგილე ბადრი სუბართან და თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად სოფ. დიდი დმანისის, პატარა დმანისის, ამამლოსა და ყარაბულახის მოსახლეობას შეხვდა.

შოთა რეხვიაშვილმა ადგილობრივებისგან პირადად მოისმინა ინფორმაცია საჭიროებების შესახებ და მათი მოგვარების გზებზე თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად იმსჯელა.

ადგილობრივებს ყველაზე მეტად აწუხებთ წყალმომარაგების საკითხი. შეხვედრის მიმდინარეობისას მოსახლეობას გააცნეს დაგეგმილი ღონისძიებები, კონკრეტულად კი „ორმოცწყარო-მაშავერას“ მასშტაბური პროექტის დეტალები. სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალუზრუნველყოფილი იქნება 7 ათასი აბონენტი.

საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც. მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მოსახლეობასთან ერთად განიხილეს ყველა საჭიროება, რაც ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრა გაიმართა ქ. დმანისის, 26 მაისის ქუჩის მცხოვრებლებთან, სადაც გუბერნატორმა დაათვალიერა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.



მარნეულის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ალგეთში ახალი საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. 150 აღსაზრდელზე გათვლილი ბაღის ორსართულიანი შენობა თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს.

საბავშვო ბაღის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ: ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეები – კახა კობერიძე, ზაურ დარგალი, პარლამენტის დეპუტატები – თამაზ ნავერიანი, რუსლან გაჯიევი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები – ზაურ ტაბატაძე, ამირან გიორგაძე, ლაშა ლობჯანიძე და მამუკა ნავერიანი.

ბაღის შენობა და მიმდებარე ტერიტორია ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, მოწყობილია პანდუსები და ინკლუზიური საპირფარეშოები.

ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო ბაღის ეზოც, დაიდგა საბავშვო ატრაქციონი, მის მიმდებარედ კი ბავშვების უსაფრთხოებისთვის დაიგო კაუჩუკის საფარი, ასევე დაიდგა სკამები და დამონტაჟდა გარე განათებები.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

წალკის მუნიციპალიტეტში

● 7 ოქტომბერს ქვემო ქართლის გუბერნატორი, საქართველოს პარლამენტში წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან და მერთან ერთად, სოფელ დარაკოვში, სამებასა და კოხტაში ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა.

შოთა რეხვიაშვილი იმ სოფლებში იმყოფებოდა, სადაც ამ დრომდე მთავარ საჭიროებად ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა, რიგ დასახლებებში კი წყალმომარაგების საკითხი რჩება.

როგორც გუბერნატორმა მოსახლეობასთან საუბრისას აღნიშნა, ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მონაწილეობით უკვე მიმდინარეობს კონკრეტულ პროექტებზე მუშაობა და სოფლებში არსებული საჭიროებები ეტაპობრივად მოგვარდება.

მთავარი „ქინძი“ „ქინძები“ და „ნაცმოძრაობა“ – ბოროტების ბოსტანი

რუსეთის მოქალაქე ვაშაძემ, რუსული „პიარშიკები“ ჩამოიყვანა და „ქართულ გაგებას“ რუსულად „აწვება“. ვაშაძისათვის ყველაფერი „მოსულა“, ისიც კი, ზურაბიშვილზე თქვას რუსეთუმეაო, ეს იმ დროს, როცა ნაცებმა აღიარეს ოფიციალურად, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში, პირველად თავად გაისროლეს, „წინ გადადგმული ნაბიჯი ყოფილა“ იმ პერიოდისათვის, თურმე სხვა გამოსავალი არ ჰქონიათ. ესე იგი, ნაცებმა რუსებს 2008 წელს არა მხოლოდ „ქვების გროვა“, ფაქტიურად სრულიად საქართველო ჩააბარეს! არაა გამორიცხული, როგორც მეხუთე მუხლი ამოტივტივდა წლების შემდეგ, ასევე ამოტივტივდეს სხვა მუხლები, სხვა გარიგებები, რაც რუსების სასარგებლოდ ნაცმაცუნურმა ხელისუფლებამ გააკეთა.

ისე წავიდა სააკაშვილი და მისი ხროვა ხელისუფლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორც ომი არ ულიარებიათ. ისინი „აგვისტოს მოვლენებს“ უწოდებდნენ იმ სისხლისმღვრელ ომს, რომლის დასრულებაც დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე კონცერტით აღნიშნეს. დიახ, დეტალები ეშმაკებშია და ეს დეტალი სულაც არაა უმნიშვნელო! ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან!

მთავარ გვერდზე ვიკიპედიას მხოლოდ ექვსი კანდიდატის ფოტო აქვს გამოქვეყნებული. ეს არის მოცემულობა და ისიც მოცემულობაა, რომ. მთავარი ოპოზიციურ ძალას მხარს უმშვენებს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი – მიხეილ სააკაშვილი. 2003 წელს, როდესაც ვარდების რევოლუცია „დაალაგა“ საქართველოს ოკუპანტმა (ივანოვი) და როდესაც „მეგობარი სახელმწიფოს“ ამერიკის ელჩი ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში, მედიამ და საზოგადოებამ ეს „უმნიშვნელო“ ფაქტი „გაატარა“. ასეა დღესაც, მედია და საზოგადოება დუმს როცა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში ერევა პირი, რომელმაც ცხრა წელი მართა საქართველო და თავი რომ გადაერჩინა პირველსავე შემთხვევაში უარყო თავისი ქვეყნის მოქალაქეობა! საზოგადოება და რათქმა უნდა პოლიტიკური სპექტრი ვაშაძეს რომ ოკუპანტები უკეთებენ პიარს არც ამაში ხედავს დიდ უბედურებას. მაშ რა არის უბედურება? საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილმა ზურაბიშვილმა ქართული რომ არ იცის კარგად? ეს არის უბედურება?! ეს არის უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ სალომე ქვეყნის მტერია?

ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ქინძთა ბელადმა „ბრძანა“ – „ჩემი ბრძოლა იქნება სამართლებრივი. ჩვენი ბრძოლა იქნება საარჩევნო და ჩვენ აუცილებლად ამ ბრძოლას საბოლოო ჯამში დავასრულებთ გამარჯვებით ოქტომბერში არჩევნებზე და შემდგომ ჩვენ გავუყინავთ ხალხს უსამართლო ვალებს, მე არასდროს ტყუილ დაპირებებს არ ვიძლევი, ჩვენ დავწევთ საბანკო კრედიტს, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ასეთი უსამართლო ურთიერთობები საბანკო ინსტიტუტებს, მთავრობას და ხალხს შორის აღარ იქნება საქართველოში, დამყარდება სამართლიანობა, კანონის უზენაესობა,“ „ნულოვანი ტოლერანტობის გარდა“ დაპირებებს როგორ ასრულებდა მთავარი ქინძი კარგად გვახსოვს. სწორედ მისი ყვავილობის ცხრა წელიწადში პარპაშობდა უსამართლობა და უზენობა. სწორედ მისმა შნირმა ქინძებმა ოცდათხუთმეტ ლარიანი უპატრონოდ დაგდებული ფიცრის მოპარვისთვის სამოცდახუთი წლის ლტოლვილი ერთი წლით ციხეში გამოამწყვდიეს, ხოლო თავად ათობით და ასობით მილიონის ხე-ტყეს იპრავდნენ, ქვეყნის სტრატეგიულ სიმდიდრეებს „უპრაგონოდ“ ჰყიდდნენ და ერთ ლარად ჩუქნიდნენ. საკუთარი ქონებას კი ვეღარც ითვლიდნენ. მთავარ ქინძს ეტყობა ნარკოტიკმა ტვინი გაულაყა და აღარ ახსოვს მისი ბრძანებით ლტოლვილებს რომ ყრიდა საცხოვრებელი ადგილებიდან და კუნგის ტიპის დახურული ავტოფურგონებით საცხოვრებლად შეუფერებელ გეტოებსა და რეზერვაციებში ეზიდებოდა. არც ის ახსოვს ყველა ბიზნესი, რომ გათელა და ქვეშ მოიგდო, მონოპოლიები და კარტელური გარიგებები ნორმად აქცია, ვინც საბანკო კრედიტის განაკვეთი ევროპაში უმაღლეს დონეზე ასწია, ხოლო საცხოვრებელი მინიმუმის დონეს მუდამ ხელოვნურად ამცირებდა და აყალბებდა. არც მათეული ბიზნესის ახევის ღამის პრაქტიკა ახსოვს, სამარცხვინოა როცა მიშა და მისი შნირები ზეწოლებსა და გადაბირების მცდელობებზე და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ ლაპარაკობენ. სწორედ ისინი პოლიტიკური პოლიციისა და ზონდერბრიგადების გამოყენებით ასობით და ათასობით ადამიანზე რომ ძალადობდა ხანგრძლივად. ვინც ხალხს პოლიტიკური ნიშნით აწინაურებდა საჯარო სამსახურებში და პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდა სამსახურიდან. სამარცხვინოა, რომ ის უტიფარი ხალხი ახსენებს სიტყვა „სამართალს“, რომელთა მიერ სამართალი ყველა დონეზე შეგინებული და გაუპატიურებული იქნა. ეს ის მთავარი ქინძია თავის ხროვასთან ერთად სადისტობას, ჯალათობას, კრიმინალებთან მეგობრობას და უზნეობას – დემოკრატიის შუქურვარსკვლავობას რომ უთავსებდა. ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელთა მინისტრები ომის დროს სამარცხვინოდ „მოტყდნენ“ ქვეყნიდან და ახლა გვარწმუნებენ – არასოდეს არ მიგატოვებთო? ეს ის ხალხია, ვითომდა, პრეზიდენტთან შესახვედრად წასული, მძღოლს რომ მობილურს უტოვებდა მანქანაში და თავად აეროპორტიდან ფრანკფურტში ტყდებოდა ოჯახთან ერთად. სწორედ ის ლიდერები არიან, რომლებიც გაიქცნენ, რადგან, სავარაუდოდ, ყველა საფუძველი არსებობს, რომ მრავალწლიანი ციხე ემუქრებათ, როგორც კრიმინალებს და მაფიის ბოსებს. ქინძთა ბელადმა არაერთხელ მოგვიწოდა, რომ არ უნდა დავუშვათ შურისძიების ახალი ციკლი და ყველაფერი დავივიწყოთო, მაგრამ შეუძლებელია დაგავიწყდეს, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მასობრივი დემონსტრაციის დარბევა, კერძო ტელევიზია „იმედის“ დარბევა და მაუწყებლობის შეწყვეტა, ტელევიზია“ კავკასიის“ მაუწყებლობის შეჩერება, მედია საშუალებების გაკოტრება, ლიცენზიის ჩამორთმევა, მითვისება და ოფშორული კომპანიების საშუალებით კონტროლი, ათეულობით ახალგაზრდის ქუჩაში ძალოვანი სტრუქტურების მიერ ლიკვიდაცია მათთვის „ნულოვანი ტოლერანტობის“ კარტ-ბლანშის მიცემით, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში მნიშვნელოვანი დარღვევების და მასობრივი გაყალბების ორგანიზება, რაც ორივე შემთხვევაში ეუთოს არჩევნებზე მონიტორინგის კომისიის ანგარიშში, სამწუხაროდ, არჩევნებიდან 2–3 თვის შემდეგ აისახა და არჩევნების შედეგზე გავლენა ვერ იქონია, მეგობარი ქვეყნების და ორგანიზაციების მიერ მრავალჯერადი გაფრთხილების მიუხედავად 2008 წელს რუსეთის მიერ პროვოკაციაზე არაადეკვატური პასუხი და საომარი მოქმედების დაწყება, რაც დადასტურებულია ტალიავინის საერთაშორისო კომისიის მიერ. პატიმართა რიცხვის წარმოუდგენელი ზრდის და განაჩენების არაადექვატური დამძიმების პარალელურად პატიმართა ყოფის აუტანელი პირობები და ციხეებში წამების და გარდაცვალების ისეთი შემზარავი სტატისტიკა ფიქსირდებოდა, რომელიც მსოფლიო უფლებადამცველი ორგანიზაციების მზარდი კრიტიკის მიზეზი გახლდათ. პოლიტიკური დევნილის სტატუსი გაცემულია საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის, კანადის, იტალიის და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მთავრობების მიერ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარგზავნილი საქმეების წარმოუდგენელი ზრდა (2010 წელს 2000 საქმეზე მეტი) და ყველაზე უფრო საჩვენებელი – გირგვლიანის საქმე.

სააკაშვილის მთავრობის მეორე სამარცხვინო სავიზიტო ბარათად ქცეული 2011 წლის სისხლიანი 26 მაისი, როდესაც მშვიდობიანი დემონსტრაციის უკანონოდ გამოცხადებიდან რამდენიმე წუთში სისხლიანი მეთოდებით დაშლას ადამიანების მსხვერპლი და ჟურნალისტებსა და საზოგადოებაზე მასობრივი ძალადობა მოჰყვა. ხოლო სააკაშვილის რეჟიმმა სისხლით მოსვრილ რუსთაველის გამზირზე მისი მორეცხვიდან რამდენიმე საათში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავი აღლუმი ისე მიიღო, რომ ახლომახლო დაყრილი რამდენიმე ნაწამები და გარდაცვლილი ადამიანის გვამი ჯერ კიდევ არ იყო აღებული. სააკაშვილის ოჯახის წევრების და საქართველოს მთავრობის ელიტარული კორუფცია ბევრად აჭარბებდა შევარდნაძის ხელისუფლების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ჯერ კიდევ 2003 წელს მთავარმა ქინძმა მთელი მინისტთა კაბინეტი გვერდში ამოიყენა და პირდაპირ ეთერში, სახალხოდ დადო პირობა, რომ თუ რომელიმე მთავრობის წევრის ძმას, დედას, მამას, ცოლს, ბიძაშვილს, მეგობარს ან ახლო ნათესავს მოულოდნელად აღმოაჩნდებოდა ბიზნესის კეთების განსაკუთრებული ნიჭი, ისინი უმკაცრესად დაისჯებოდნენ. თუმცა, დედამისს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და უძრავი ქონება უფეშქაშა, მის ძმას უმსხვილესი ნავთობკომპანია და სადაზღვევო სააგენტო, ბიძამისს ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი საბადო. მის უახლოეს მეგობრებს, ძმებ ბეჟუაშვილებს ქვანახშირისა და მანგანუმის საბადოები, ცემენტის ქარხნები, გაზის გამანაწილებელი კომპანია. ვანო „გაღლეტილის“ ოჯახს, მამას, ბიძას, ბიძაშვილს, ათეულობით უმსხვილესი და მონოპოლისტი კომპანია და რესტორანი ეკუთვნოდათ, რატომღაც მისი მშობლიური სოფლის, ადიგენის რაიონის სოფელი უდეს მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით ვანო მერაბიშვილის ტოლებს, ფენომენალური ნიჭი აღმოაჩნდათ ბიზნესისა და ლამის თითო მათგანზე 3–4 უმსხვილესი სადისტრიბუტორი კომპანია იყო რეგისტრირებული. ერეკლე კოდუას სასტუმრო და კაზინო საქართველო, მის დედას საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა ბაზრობაზე უმსხვილესი

წილები და „გასანადგურებელი“ ნარკოტიკები. ჩატარებულ ყველა სახელმწიფო და გაუმჭვირვალე მსხვილ ტენდერში ქინძთა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ ტენდერამდე ერთი კვირით ადრე დაარსებული და ახლობლებზე რეგისტრირებული შპს – ები იმარჯვებდნენ. ყოფილი ეკონომიკის მინისტრი გიორგი არველაძეს ახეული ტელევიზია „ჩაახუტა“ ყოფილ თავდაცვის მინისტრსა და მსოფლიო მასშტაბით ცნობილ იარაღით მოვაჭრე, კორუმპირებულ დავით კეზერაშვილს საქართველოში ლატარიის გაყიდვის მონოპოლიური უფლება მისცა, მის მიერ ქართული ჯარის ხარჯზე გაკეთებულ მრავალმილიონიან „ატკატები“, რატომღაც გაუტარა. კეზერას მფლობელობაში გახლდათ უმსხვილესი სამშენებლო კომპანიები, მაგალითად არტ-იქსი, რომელიც ნახევარ მილიონს ზემოთ ბიუჯეტის თითქმის ყველა სახელმწიფო ტენდერს იგებდა. სააკაშვილის მინისტრების და პარლამენტარების მიერ აბსოლუტურად მონოპოლიზირებული გახლდათ საკვები პროდუქტების ბიზნესი. მთავარი ქინძის მინისტრები და ყველა პარლამენტარი ფლობდა მინიმუმ ორზე მეტ ფეშენებელურ სახლს დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებში, საუკეთესო ვილებს ზღვისპირეთში, თბილისის შემოგარენში და ზამთრის კურორტებზე, ყველა მათგანს მინიმუმ ორი ახალი და ძვირფასი ავტომობილი ჰყავდა, ყველა მათგანი მსოფლიოს საუკეთესო კურორტებზე ისვენებდნენ. კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება მიხეილის წუწუნის გასაბათილებლად, თურმე უფულოდ, რომ ყოფილა და მხარდამჭერებს მიმართავს გრიშა დააფინანსონ. ყველა მის გვერდზე მდგომი მათხოვარი მილიარდელად თუ არა მილიონერად აქცია მიხეილმა და ისეთი კეთილი გულის ბიჭი იყო წილს მარტო „ქინძაობისთვის“ ითხოვდა? გამოდის უფრო დიდი სირი ყოფილა ვიდრე მეგონა. აშშ – შიც ეტყობა ფეშენ სახლები ფერშალმა ცოლმა უყიდა. არა, არ მჯერა ნიანგის ცრემლების... დიახ, სწორედ მთავარმა ქინძმა შექმნა დანაშაულებრივი ფინანსური – პოლიტიკური სისტემა, სადაც ნებისმიერი სახელმწიფო სახსრების ლომის წილი უნაწილდებოდა სამთავრობო პირების და მათი საახლობლო წრის მიერ ხშირად ტენდერის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე სპეციალურად დაფუძნებულ კომპანიებს, რომლებიც შემდეგ საარჩევნო პერიოდში უხვი ღია თუ ფარული შემოწირულობების სახით ნაციონალურ მოძრაობას ხარკს უხდიდნენ და „ვალს“ უბრუნებდნენ.

უტიფარი მთავარი ქინძი, როცა სამართლიან არჩევნებზე გრიშას სასარგებლოდ საუბრობს ავიწყდება მისი ზეობის ხანაში დამკვირვებელ ქალბატონს ბეისბოლის ბიტით ფეხები როგორ დაუსახიჩრეს, ათობით მანქურთმა ცხრა შვილის მამა – დამკვირვებელი მღვდელი როგორ ცემეს, სწორედ მისი ნაქები სპეცნაზი იპარავდა საარჩევნო ყუთებს და რეზინის ტყვიებს ესროდა მოსახლეობას, მამაოს მშვიდობიანი პროტესტისათვის იარაღს ადებდნენ და როცა არჩევნების წინა პერიოდში დარღვევის და უთანაბრობის ათასობით ფაქტი იყო დაფიქსირებული ბელადი უნდა დადუმდეს და გაიხსენოს წაგლეჯილ მილიონობით ლარს როგორ ახმარდა თავისი ბინძური კამპანიას როცა ათასობით ადამიანს უკანონოდ და პოლიტიკური საფუძვლით ყადაღა დაადეს, როცა იმ ციხის ვიდეოებით ანახეს, რა გველოდებოდა, თუ მათი ნების და სურვილის წინააღმდეგ ვინმე წავიდოდა, ლაფანყურში სისხლიანი ტრაგედია მოაწყვეს, მილიონზე მეტ სამშობლოდან წასულ ადამიანს ფაქტიურად მოქალაქეობა აჰყარეს და უუფლებოდ დატოვეს, მთავარ ქინძს სურს დავივიწყოთ, როგორ ძალადობდნენ ქალებზე და ბავშვებზე, როცა იგონებდნენ აბსურდულ ფაბრიკაციებს, როცა ხან რუსის დამქაშები ვიყავით თურმე და ხან კანონიერი ქურდების ნატრულნი. მიშას ნოსტალგია აქვს და დიდი სურვილი საქართველოში დაბრუნდეს თუმცა კარგად იცის ძველ „დიდებას“ ვეღარ დაიბრუნებს. არადა მსოფლიოში დიქტატორების გარდა ვფიქრობ, არცერთ პრეზიდენტს არ ჰქონია ისეთი ძვირფასი სასახლე, არავის ჰყოლია მასზე ძვირფასი მანქანები და თვითმფრინავები. არავის უყიდია ბოინგი, რომლის ფასიც ასეულობით მილიონი დოლარით განისაზღვრება, არავის ჩამოუყვანია პირადი ბოინგით მსოფლიოს უძვირესი და უპოპულარულესი მასაჟისტი.ნუ, ადგილობრივ მის ძუკნებზე აღარაფერს ვიტყვი, არც სომხეთის ბორდელებიდან ჩამოყვანილ ტურფებზე (სისხლის ყივილი) არავის უმოგზაურია ამდენი, მათ შორის კოსტა – რიკაში თუ ჰონდურასში. საქართველოს არცერთი პრეზიდენტის ფონდი არ ყოფილა იმხელა და იმდენჯერ მეტი, რაც ბელადს ჰქონდა. მიხეილის ბოროტ ზრახვებს ხმარდებოდა 2004–08 – წლებში მომქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე „პროკურატურის ინსტიტუციური განვითარების ფონდში“ და „თავდაცვის ფონდში“ დალექილი მილიარდობით ლარი, ფონდების ბიუჯეტი საპროცესო გარიგებებით და სხვა სახელმწიფო რეკეტის გზით ივსებოდა...

მთავარ ქინძზე და მის ხროვაზე მათ სისხლიან წარსულზე მწარედ გასახსენებელი ბევრია, სალაპარაკოც და მოსათხოვიც, ყველას ყველაფერი გვახსოვს განსაკუთრებით „მიხეილის სანატორია“ გამოვლილებს. უტიფრად კი ამბობენ მისი შნირები, რომ ციხის კადრები დადგმული იყო, მაგრამ ვინც იქ გახლდნენ და ტელეკამერების წინ ყვებიან იმ გაუგონარი სისასტიკის შესახებ რაც ნაცგულაგებში ხდებოდა, კოლექტიურად დაესიზმრათ მიცვალებულებთან „კანდალებით“ გადაბმული სადამსჯელო ღონისძიებები და სისხლის გუბეები?სისხლში და ფურთხში უნდა იცურაონ ნაცლიდერებმა დარჩენილი ცხოვრება და თავგადაკლულ მხარდამჭერებსაც გაუნაწილონ ჩამოურეცხავი ცოდვა რომელიც ცხრა წელი აგროვეს...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ტრამპი ჯორჯ სოროსს მოსისხლე მტრად მიიჩნევს

ტრამპი ასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებს და ანახლებს ძველ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

აშშ-ის სენატმა გასულ კვირას დაამტკიცა დონალდ ტრამპის მიერ უმაღლეს სასამართლოში წარდგენილი კანდიდატი ბრედ კავანო. მისი უმაღლეს სასამართლოს მოსამართლედ დამტკიცება, რაც სენატის უფლებამოსილებაა, თითქმის ერთი თვე გაიწელა. კავანო ჯგუფური გაუპატიურების მცდელობაში დაადანაშაულა თანაკურსელმა. ნუ გაგიკვირდებათ, მაგრამ თითქოს მომხდარს 30 წლის წინ ჰქონდა ადგილი. თუმცა გამოძიების გედერალურმა ბიურომ, რომელიც იკვლევდა საჩივარს, ერთი მოწმეც ვერ მოძებნა, რომელიც ბრალდებას დაადასტურებდა.

სენატის სხდომა კავანოს და ტრამპის საწინააღმდეგო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. რამდენიმე მონაწილემ სენატის შენობაში შეჭრაც კი სცადა. ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა ამის გამო რამდენჯერმე მიმართა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, დაეცვათ წესრიგი. ათეულობით აქციის მონაწილე პოლიციამ დაიკავა. სენატმა გვიღალატაო, აცხადებდნენ პროტესტანტები. კავანის მოსამართლედ დამტკიცების შემდეგ. პოლიტოლოგებმა ბრედ კავანოს უმაღლეს სასამართლოში განწესება საშინაო პოლიტიკაში დონალდ ტრამპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამარჯვებად შეაფასეს. თავად დონალდ ტრამპმა სენატთან გამართული აქციების ორგანიზებაში „მოსისხლე მტერი“ მილიარდერი ჯორჯ სოროსი დაადანაშაულა.

უსაფუძვლო ბრალდებებმა აშშ-ში უკვე ქრონიკული სახე მიიღო, რაც პოლიტიკოსების და პოლიტოლოგების შეშფოთებას იწვევს. ქვეყანაში უკვე გაჭირდა სიმართლისა და ტყუილის გარჩევა. სავარაუდოდ, ამიტომაც განაცხადა მაიკლ პენსმა, „ქვეყანაში დასაცავია უდანაშაულობის პრეზუმფცია, თორემ სიტუაცია სენატორ მაკარტნის დროინდელი გახდებაო“.

აღმოსავლეთ აზიაში აშშ-ს კვლავ დაძაბული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება აქვს. ჩინეთმა უარი განაცხადა ამერიკული ნავთობის შეძენაზე. პეკინი ეძებს პარტნიორებს, ვისთანაც იუანით განახორციელებს ანგარიშსწორებას. მაიკ პენსი გასულ კვირას ჩინეთის კრიტიკით გამოვიდა. მისი განცხადებით, პეკინის პოლიტიკა სავაჭრო ომს გასცდა. მათი გემები ჩინეთის ზღვაში და სხვა რეგიონებში პატრულირებენ, რაც ვითარებას ძაბავს. პენსმა ჩინელები ტრამპის ადმინისტრაციის დამხობის სურვილშიც დაადანაშაულა. გეგმის მიხედვით, გასულ კვირას მაიკლ პომპეო ფხენიანში გაემგზავრა, იქინად კი ჩინეთში ჩავიდა. მართალია, იგი თბილად მიიღეს, მაგრამ შეძლო თუ არა თავისი ვიზიტით სახელმწიფო მდივანმა ქვეყნებს შორის ვითარების შერბილება, მომავალი გვიჩვენებს.

რუსეთისა და ინდოეთის მჭიდრო თანამშრომლობა საყოველთაოდ არის ცნობილი. გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ინდოეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. პუტინმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან ნარენრე მოდისთან ბოლო ექვს თვეში მესამედ გამართა პირადი შეხვედრა. საუბრის თემა მრავალფეროვანი იყო — სირია, რეგიონი, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები. 20-ზე მეტი ორმხრივი ხელშეკრულება გაფორმდა. ვიზიტისას მთავარი გარიგება საჰაერო დაცვის კომპლექსის შ-400-ის ინდოეთისთვის გადაცემა იყო. ინდოეთი კომპლექსებში რუსეთს 5,5 მილიარდს გადაუხდის. გარიგება იმითაა საინტერესო, რომ ინდოეთმა ყურად არ იღო აშშ-ის მუქარა, რომ მკაცრ სანქციებს დაუწესებენ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთისგან იყიდიან შეიარაღებას. ვიზიტის ბოლოს პუტინმა მოდი გაისად აღმოსავლეთ ეკონომიკურ ფორუმზე საპატიო სტუმრად მიიწვია.

ინტერპოლი ერთი კვირის მანძილზე ეძებდა საკუთარი ორგანიზაციის პრეზიდენტს. იგი საფრანგეთიდან ჩინეთში, თავის სამშობლოში გაემგზავრა შვებულების გასატარებლად, აეროპორტიდან კი გაქრა. ორი დღის წინ ჩინეთის მხარემ დაადასტურა, რომ იგი დაკავებულია ფინანსური მაქინაციებისთვის. ჩინეთში არსებული კანონებით, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ელოდება.

უცნაურად დასრულდა არჩევნები ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, ლატვიაში, სადაც პრორუსულმა პარტიამ „სოგლასიემ“ (თანხმობა) პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, ამომრჩეველთა აქტივობა დაბალი იყო, მაგრამ ლატვიის სეიმში 21 ადგილი პრორუსული პარტიისთვის ბევრი და გაუგებარია. როგორ განვითარდება მსოფლიო პოლიტიკაში მოვლენები, ბურუსით არის მოცული. პროგნოზები კი უადგილოა.

გია ბურდული
551 71 27 07

XXI საუკუნის მონარქთა გატაცებანი

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მონარქებს ძალიან გადატვირთული გრაფიკი აქვთ, მაინც პოულობენ დროს თავიანთი გატაცებებისთვის, ზოგიერთი მათგანი მანქანებს აგროვებს, ზოგიერთი საინჟინრო საქმით არის დაკავებული, ზოგი რადიომოყვარულია...

იმპერატორი-ბიოლოგი. იაპონელი ხალხი, საერთოდ, ბუნებასთან ერთიანობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. ბუნების შესწავლა, განსაკუთრებით კი ბიოლოგია და იხტიოლოგია იაპონიის იმპერატორის აკიხიტოს მთავარი გატაცებაა. ქვეყნის ლიდერს 25 სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. მეცნიერების გარდა, იმპერატორს უყვარს ჩოგბურთი. სწორედ კორტებზე გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე.

ფეხბურთელი-თავადი. მონაკოს თავადის რენიე III-ისა და ლეგენდარული კინომსახიობის გრეის კელის ვაჟი ალბერ II სპორტით არის გატაცებული. მმართველი თავადი, რომლის შეყვარებულებიც დაქორწინებამდე იყვნენ ნაომი კემპბელი, გვინეტ პელტროუ და შერონ სტოუნი, კარგად თამაშობს ფეხბურთს, ცურავს, ფლობს ძიუდოს და ხუთჯერ იღებდა მონაწილეობას ოლიმპიადებში ბობსლეის გუნდთან ერთად. გარდა ამისა, 1985 წელს მონაწილეობა მიიღო „დაკარის“ რალიში.

ალბერ II საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და სათავეში უდგას მონაკოს ოლიმპიურ კომიტეტსა და მფარველობს მონაკოს საფეხბურთო გუნდს. იგი პირველი მოქმედი მონარქია, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსზე იმყოფებოდა.

მოგზაური-დედოფალი. ელიზაბეტ II ყველაზე დიდი ხანი მართავს ქვეყანას. ეს ისტორიული პიროვნება ინგლისის ტრადიციების ცოცხალი სიმბოლოა. დედოფლის ყველაზე დიდი გაცატება მოგზაურობაა. 90 წლის მანძილზე მან 300-ზე მეტი მოგზაურობა განახორციელა, მათ შორის სამეფო იახტა „ბრიტანიაზე“, რომლის ბორტზეც 1954 წელს მეუღლესთან, ფილიპთან ერთად დედამიწის გარშემო იმოგზაურა. ამბობენ, რომ, როცა იახტა ჩამოწერეს, დედოფალი ტიროდა.

დედოფალი-მხატვარი. დანიის დედოფალი მარგრეტე II ფერწერით არის გატაცებული. იგი სხვადასხვა ტექნიკაში მუშაობს – გრაფიკიდან დაწყებული, ქსოვილზე ხატვითა და დეკუპაჟით დამთავრებული. მარგრეტე II წიგნის ილუსტრაციებსაც ხატავს და შექმნა ნახატების ციკლი რომანისთვის „ბეჭდების მბრძანებელი“ და ანდერსენის ზღაპრებისთვის. დედოფლის ნახატების ნახვა შეიძლება გამოფენებზე დანიაში და საზღვარგარეთაც. მისი ნამუშევრები ინახება ხელოვნების სახელმწიფო და სხვა მუზეუმებში. დედოფალი მარგრეტე ამბობს, რომ თავი გამოჩენილ მხატვრად არ მიაჩნია, მაგრამ ხატვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

მეფე-ინჟინერი. მეფე პხუმიპინ ადულიადეტი, იგივე რამა IX ჩაკრის დინასტიის წარმომადგენელი გასხლდათ. იგი ტაილანდის ტახტის მმართველი იყო 70 წლის განმავლობაში – 1946 წლიდან გარდაცვალებამდე, 2016 წლამდე. მონარქის მთავარი გატაცება ინჟინერია და მუსიკა იყო. მან შექმნა მელიორაციის სისტემა, რომელიც ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება. მანვე შეიმუშავა ხიდებისა და პლატინების პროექტები და შექმნა საკუთარი იალქნიანი ნავი. რამა IX-მ გამოიგონა ახალი საწვავი, რომელიც დიზელისა და პალმის ზეთისგან შედგება. მანვე დააპატენტა წყლის ჟანგბადით მუდმივი გამდიდრების მეთოდიკა.

რამა IX-ის კიდევ ერთი გატაცება ფოტოგრაფია იყო. მან შექმნა რამდენიმე ფოტოობიექტივი. ის გატაცებული იყო მუსიკით და საქსოფონზე დაკვრაც შეისწავლა. საზღვარგარეთ მოგზაურობისას ბენი გურმანთანის ბენდთანაც კი დაუკრავს.

ჰერცოგი-მონადირე. უნდა ითქვას, რომ ბევრი მეფე ვერ შეედრება თავის ტაილანდელ კოლეგას. ლუქსემბურგის დიდ თავადს ანრის

მისი წრის ადამიანებისთვის ფრიად დამახასიათებელი გატაცება აქვს – უყვარს წიგნების კითხვა, კლასიკური მუსიკა და ნადირობა. თავადი გატაცებულია ეკოლოგიის დაცვით და ჰალაპაგოსის უნიკალური ეკოსისტემის შენარჩუნებისთვის აქტიური მებრძოლია. ჰერცოგი გატაცებულია ასევე რადიოტექნიკით, სამთო და წყლის თხილამურებზე სრიალით, ჩოგბურთით, ცურვით და იახტებით.

მეფე-მფრინავი. ნიდერლანდების მეფე ვილემ-ალექსანდრი ყველაზე მეტად საფრენოსნო საქმით არის გატაცებული და უყვარს სამეფო რეაქტიული თვითმფრინავის საჭესთან ჯდომა. 1989 წლიდან მას სამოქალაქო და სამხედრო საჰაერო ხომალდების მართვის უფლება აქვს, ასრულებდა რეისებს აფრიკის სამედიცინო და განათლების ფონდთან ერთად კენიაში. პილოტის ლიცენზიის შესანარჩუნებლად მონარქი ყოველწლიურად ასრულებს ფრენების აუცილებელ რაოდენობას. გარდა ამისა, მეფე

გატაცებულია სირბილით, თხილამურებით რბოლაში მარათონშიც კი იღებდა მონაწილეობას.

სულთანი-ავტომანიაკი. ჰასანალ ბოლკიახი ბრუნეის მმართველების იმ დინასტიის წარმომადგენელია, რომლებიც XIV ს-იდან მართავენ ქვეყანას და მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება. იგი ამავდროულად არის პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის და ფინანსთა მინისტრიც. მონარქის მთავარი გატაცებაა ძვირადღირებული ავტომანქანები. ამბობენ, რომ ბრუნეის მეფის კოლექცია სამი ათასზე მეტი მანქანისგან შედგება, რომელთა შორისაა 600-ზე მეტი „როლს-როისი“, 570 – „მერსედეს ბენცი“, 450 – „ფერარი“, 382 – „ბენტლი“, 170 – „იაგუარი“, 21 – „ლამბორჯინი“, 11 – „ასტონ მარტინი“ და ერთი **SSC.** ზოგიერთი ავტომანქანა მისი შეკვეთით არის დამზადებული. გარდა ამისა, ბრუნეის მონარქი 1980 წლიდან „ფორმულა-1“-ის ჩემპიონის ბოლიდების მფლობელია.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

- ვაპირებ განქორწინებას მეუღლესთან, რომელთანაც, უკვე რამდენიმე წელია, პრაქტიკულად დაშორებული ვარ. ტერიტორიულად რომელ სასამართლოში შევიტანო სარჩელი?

- საქმე ეხება ოჯახური განსჯადობის დავას, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი, რომლის შინაარსსაც, გავცდები რა შეკითხვის ფორმატს, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა

1. სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. (ამოღებულია).

4. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

- ახლობელს რამდენიმე წლის წინ ვასესხე 3000 აშშ დოლარი. დასაწყისში ნაწილ-ნაწილ დამიბრუნა 1000 აშშ დოლარი. მერე კი შეწყვიტა გადახდა და დღემდე მას აქვს დასაბრუნებელი 2000 აშშ დოლარი. მე ვფიქრობ, რომ მან დასაწყისში მომატყუა, ისარგებლა ჩემი ნდობით, მიმაცემინა თანხა, რომლის სრულად გადახდასაც არ აპირებდა. როგორც ვიცი. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. დამაკვალიანეთ, ვის მივმართო?

— ძალიან ხშირად სესხის ხელშეკრულებასა და სისხლისსამართლებრივ თაღლითობას მოქალაქეები ურევენ ერთმანეთში. სისხლის სამართალში თაღლითობას უფრო მძიმე დატვირთვა აქვს და რთული გამოსაკვეთია მისი ნიშნები. შეიძლება ხშირად გარეგნულად წაგავდეს სესხის სადავო ხელშეკრულება და სისხლისსამართლებრივი თაღლითობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახეზე ნამდვილად თაღლითობაა. ჩემი აზრით, კონკრეტულად თქვენი შემთხვევა წმინდა წყლის სამოქალაქო-სამართლებრივი დავაა და, თუ ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა არ გასულა, უნდა მიმართოთ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

* * *

— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების დადება სანოტარო დადასტურების გარეშე?

- არა, არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174 -ე მუხლსი მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

* * *

- მაინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსიდან ოჯახური ძალადობის მუხლი თავისი სანქციებით.

- მუხლი 126[1]. ოჯახში ძალადობა

- 1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –

- ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

- 2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

- ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

- გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

- დ) ჯგუფურად;

- ე) არაერთგზის, –

- ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983